ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 21 სექტემბერი 2001 №180 (1453) | ფასი 50 თეთრი

# ინტერმა რონალდოს კბილები გამოაჩინა

## ქართველები მინდორზე, სკამზე და გასახდელში



გუშინ იფსვიჩში მოსკოვის „ტორპედომ“ და მისმა ქართველმა ედიკ საჯაიამ ინგლისური „იფსვიჩი“ და მისი ნიგერიელი ჯორჯ ფინიდი დააყვირეს

REUTERS იფსვიჩიდან



ხვალ რონალდოს დღეობაა: 25-ის ხდება

წუხელ უეფას თასის ცნობილი მიზეზთა გამო გადადებული პირველი ეტაპის პირველი მატჩები გაიმართა. ქართული გუნდები იქ აღარ არიან, ამიტომ სანერვიულოც აღარაფერი გვაქვს. გამორჩეულად საინტერესო შეხვედრებიც ბევრი არ იყო, ძლიერები სუსტებთან არკვევენ ურთიერთობას და ერთმანეთს ჯერ არ დასჯახებიან. თუმცა ერთი-ორმა ფავორიტმა კისერი მაინც წაიტეხა. ყველაზე საინტერესო კი ეს იყო: „ინტერმა“ 17 თვის უთამაშებელი რონალდო, ხვალ რომ 25 წლის ხდება, ნახევარი საათი ათამაშა.

ახლა ჩვენებზე ვთქვათ: „მილანმა“ კახა კალაძის დაუხმარებლად დაამარცხა „დინამოს“ დამფრენი ბატე. „ჩელსის“ თადარიგში ისევ გამოჩნდა რატი ალექსიძე. იფსვიჩში მოსკოვის „ტორპედომაც“ იყოჩაღა და ედიკ საჯაიამაც. ბორდოში კი უნგრული „დებრეცენიც“ შერცხვა და კახაბერ ჩხეტიანიც, რომელიც მეორე ტაიმის პირველივე წუთზე გასახდელში მიაბრძანეს. კიევის ცსკა-მ „ცრვენა ზვეზდა“ დაამარცხა და იუგოსლაველთა ძლევაში ლევან მიქაძის წილიცაა.

იხილეთ მეორე გვერდი

# ლაბაძე დიდი მომწოდებელია

## საბუთი გნებავთ? აგასი, გიმელსტონი, როიტერი...

## საქართველო და ირაკლი ერთმანეთისთვის ნერვიულობენ

მსოფლიოს მეორე მეჩოგნის, ანდრე აგასის ძლევით 20 წლის ქართველმა ირაკლი ლაბაძემ დიდი სენსაცია გამოაცხო და საჩოგბურთო მსოფლიოსაც გააცნო თავი. ჩვენებური ამაზე არ შეჩერებულა და შანხაიში მიმდინარე ჰაინეკენის თასის გათამაშების მეორე წრეში მსოფლიოს 139-ე ჩოგანი (ჩემპიონთა რბოლის მიხედვით) ჯასტინ გიმელსტობიც იმსხვერპლა. კაცი, რომელსაც პირველი ქალი მეჩოგნის, მარტინა ჰინგისის პირველი ოფიციალური საყვარლობით გაუთქვამს სახელი.

„ძალიან ვნერვიულობდი – ამბობდა ქართველი ნამატჩევს – აგასის დამარცხების შემდეგ დიდ ზეწოლას ვგრძნობდი. სამშობლოში ხალხი ჩემგან გამარჯვებას ელოდა“.

ლაბაძემ შეძლო გამარჯვება. აგასისთან მომქანცველი, ლამის ორსაათიანი და ნერვებდამწყვეტი შეხვედრის შემდეგ არცთუ იოლი იყო მეორე ამერიკელის წაქცევა, მით უმეტეს მაშინ, როცა პირველი სეტი გიმელსტობმა მოიგო. თუმც ქართველმა მაინც გაიტანა თავისი და საბოლოოდ თითქმის სამსაათიანი, სამსეტიანი და ორტაიბრეიკიანი მარათონის შემდეგ მეოთხედფინალში გასვლა იზეიმა.

დღევანდელ მეოთხედფინალში ირაკლი ლაბაძეს ბადის საპირისპირო მხარეს დანიელი კენეტ კარლსენი დაუდგება, რომელიც ჩემპიონთა რბოლაში 130-ე ადგილზეა. „დიდ მომწოდებელთა მატჩი იქნება“ – წერს სააგენტო „როიტერი“.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ირაკლი ლაბაძე შანხაიში ცაციას მარჯვედ ხმარობს

REUTERS შანხაიდან

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### პირველი მატჩები

UEFA CUP

ბატე (ბელარუსი) 0:2 მილანი (იტალია)
0:1 შევჩენკო (65), 0:2 ხავი მორენო (88)
მილანი: აბიატი, კონტრა (გატუზო 73), როკე ჟუნიორი, ლაურსენი, მალდინი, ბროკი (სარი 83), ალბერტინი, დონატი (პირლო 46), სერჟინიო
შევჩენკო, ხავი მორენო
კახა კალაძე სათადარიგო იყო

ცსკა (უკრაინა) 3:2 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
0:1 პიანოვიჩი (35), 1:1 ტკაჩენკო (45), 2:1 კოსტიშინი (49), 3:1 ზაკარლიუკა (66), 3:2 აჩიმოვიჩი (67პ)
ცსკა: კერნოზენკო, მალცევი, ანენკოვი, კირლიკი, ბილოზორი, მიძაძე, ზაკარლიუკა, კოსტიშინი, ვოლოსიანკო, ტკაჩენკო (პოლიარუში 69), ბალიცკი

ბორდო (საფრანგეთი) 5:1 დებრეცენი (უნგრეთი)
1:0 პაულეტა (13), 1:1 ტიბერი (38), 2:1 კრისტიანი (43), 3:1, 4:1 დუგარი (52, 54), 5:1 პაულეტა (77)
დებრეცენი: ბალოგი, ბერნატი, კუტორი, პლოკაი, სატმარი, ბოორი, ჩხეტიანი, ვადიჩა (მანაკი 56), ბაიზატი (კერეკეში 46), მაიოროში, ტიბერი (ნენადიჩი 67)
გაძევება: ჩხეტიანი (47)

ჩელსი (ინგლისი) 3:0 ლევსკი (ბულგარეთი)
1:0, 2:0 გუდიონსენი (45, 73), 3:0 ლამპარდი (90)
ჩელსი: დე გუი, ლესო, მელხიოტი, ტერი, გალასი, ლამპარდი, იოკანოვიჩი, ზენდენი, პეტი (მორისი 30), გუდიონსენი, ძოლა
რატი ალეძსიძე სათარიგო იყო
ვიაზმიკინი, შირკო

იფსვიჩი (ინგლისი) 1:1 ტორპედო (რუსეთი)
0:1 ვიაზმიკინი (14), 1:1 ბრამბლი (85)
ტორპედო: ბერეზოვსკი, დბევი, მალაი, იოლოვიჩი, ლუხვიჩი, საშჩაია, ჩეჩკო, კორმილცევი, ზურიანოვი, ვიაზმიკინი (კამოლცევი 89), შირკო (სემშოვი 82)

ლეგია (პოლონეთი) 4:1 ელფსბორგი (შვედეთი)
დინამო (რუმინეთი) 1:3 გრასჰოპერი (შვეიცარია)
პრჟიბრამი (ჩეხეთი) 4:0 სედანი (საფრანგეთი)
ლიბერეცი (ჩეხეთი) 2:0 სლოვანი (სლოვაკეთი)
დინამო (რუსეთი) 1:0 ბირკირკარა (მალტა)
პოლონია (პოლონეთი) 1:2 ტვენტე (ჰოლანდია)
დინამო (ხორვატია) 2:2 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)
გენჩლერბირლიგი (თურქეთი) 1:1 ჰალმსტადი (შვედეთი)
პარტიზანი (იუგოსლავია) 1:0 რაპიდი (ავსტრია)
ჰაკა (ფინეთი) 1:1 უნიონი (გერმანია)
ცსკა (ბულგარეთი) 3:0 შახტარი (უკრაინა)
პარმა (იტალია) 1:0 ჰიკ (ფინეთი)
ინტერი (სლოვაკეთი) 1:0 ლიტექსი (ბულგარეთი)
მიდტიულანდი (დანია) 0:3 სპორტინგი (პორტუგალია)
ოლიმპიაკოსი (კვიპროსი) 2:2 ბრიუგე (ბელგია)
დნიპრო (უკრაინა) 0:0 ფიორენტინა (იტალია)
ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 1:0 გაზიანთეფი (თურქეთი)
ოდ გრენლანდი (ნორვეგია) 2:2 ჰელსინგბორგი (შვედეთი)
სენტ გალენი (შვეიცარია) 2:1 სტიაუა (რუმინეთი)
ოლიმპია (სლოვენია) 2:4 ბრონდბიუ (დანია)
სტანდარდი (ბელგია) 2:0 სტრასბური (საფრანგეთი)
აეკ (საბერძნეთი) 2:0 ჰიბერნიანი (შოტლანდია)
სერვეტი (შვეიცარია) 1:0 სლავია (ჩეხეთი)
უტრეხტი (ჰოლანდია) 3:0 ბრაცერი (ავსტრია)
ჰაიდუკი (ხორვატია) 2:2 ვისლა (პოლონეთი)
კერნტენი (ავსტრია) 0:0 პაოკ (საბერძნეთი)
აიაქსი (ჰოლანდია) 2:0 აპოლონი (კვიპროსი)
კილმარნოკი (შოტლანდია) 1:1 ვიკინგი (ნორვეგია)
ასტონ ვილა (ინგლისი) 2:3 ვარტექსი (ხორვატია)
კოპენჰაგენი (დანია) 2:0 ობილიჩი (იუგოსლავია)
ინტერი (იტალია) 3:0 ბრაშოვი (რუმინეთი)
სარაგოსა (ესპანეთი) 3:0 სილკებორგი (დანია)
სელტა (ესპანეთი) 4:0 სიგმა (ჩეხეთი)
მარიტიმუ (პორტუგალია) 1:0 ლიდსი (ინგლისი)



REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლევსკი. ფრენკ ლამპარდი (№8): ბოლო გოლი ბოლო წუთზე




REUTERS მილანიდან

ინტერი — ბრაშოვი. უკვე მერამდენედ დაბრუნებული რონალდო: დიდი ნიჭი და მცირე იღბალი



REUTERS ბირმინგემიდან

ასტონ ვილა — ვარტექსი.
ბირმინგემელი დარიუს ვასელი და გორან გრანიჩი (№14)



REUTERS ჟენევიდან

სერვეტი — სლავია.
ჟენეველმა ტიერნო ბამ პრაღელი პატრიკ გედეონი ბურთს არ გაყარა



REUTERS ციურიხიდან

სენტ გალენი — სტიაუა. ბატისტა ჯეფერსონის (№11) ამ დარტყმით შვეიცარიელები დაწინაურდნენ

## ინგლისი
I დივიზიონი
გადადებული მატჩი
ნოტინგემი 1:0 ბრედფორდი

## ჰოლანდია
თასის II ეტაპი
ეინდჰოვენი 1:0 პსვ ეინდჰოვენი (II)
ზვოლე 3:1 აპელდორნი

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

# ამძვით, ოღონდ მძრ გაძძდით

## საქართველომ 13 ნაბიჯით წაიწია



ნუგზარ ქათილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების სარეიტინგო ამოძრავებაში წილი ალექსანდრე იაშვილსაც უდევს

**რაც** ამ ბოლო დროს „ფიფა-კოკა კოლას" რეიტინგი გამოქვეყნებულა, ჩვენი ეროვნული გუნდი ასეთ მაღალ საფეხურზე არასდროს ყოფილა. ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით მოგებულმა სამმა შეხვედრამ (ორი შესარჩევი და ერთიც ამხანაგური ლუქსემბურგთან) საქართველოს ნაკრები 59-ე საფეხურამდე ალაზევა და მართალია, კორეა-იაპონია განზე დარჩა, ახლა ჩვენი ფეხბურთისთვის ამ სიმბოლურ ცხრილში საბერძნეთის გვერდით ყოფნაც დიდი საქმეა.

საინტერესოა, რომ წინა თვეში ქართველთა დარად კიდევ მხოლოდ სამმა ნაკრებმა შეძლო ათი ან მეტი საფეხურით წინ წაწევა: სლოვენია 31-ე ადგილზე აღმოჩნდა (13 ადგილით ავიდა ცხრილში), უკრაინა — 33-ეზე (14), ჩრდილოეთ ირლანდია კი — 97-ეზე (10). რაც შეეხება რეიტინგის აისბერგს, აქ ყველაზე შესამჩნევი ალმასვლა სვენ გორან ერიკსონის ინგლისმა განიცადა — გერმანიის მიუნხენში განადგურებამ კუნძულელები მეცხრე ადგილზე დაასკუპა. სამაგიეროდ, თავად გერმანელები მეხუთედან მთლად მეთორმეტეზე ჩამოქვეითდნენ.

ქვემოთ რეიტინგის პირველ ოცეულსა და ჩვენი ყოფილი მოძმეების დღევანდელ მდგომარეობას გთავაზობთ. აქვე შეგახსენებთ, რომ სულ ამ ცხრილში 203 ქვეყნისა თუ ტერიტორიული ერთეულის საფეხბურთო ნაკრებთა შედეგები ჯამდება.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | საფრანგეთი --- | 810 |
| 2 | (2) | ბრაზილია ------ | 799 |
| 3 | (3) | არგენტინა ------ | 794 |
| 4 | (4) | იტალია --------- | 737 |
| 5 | (9) | პორტუგალია -- | 732 |
| 6 | (7) | ესპანეთი ------- | 730 |
| 7 | (6) | კოლუმბია ------ | 719 |
| 8 | (10) | ჰოლანდია ------ | 717 |
| 9 | (15) | ინგლისი -------- | 712 |
| 10 | (12) | მექსიკა --------- | 711 |
| 11 | (11) | პარაგვაი ------- | 710 |
| 12 | (5) | გერმანია ------- | 708 |
| 13 | (13) | იუგოსლავია --- | 705 |
| 14 | (7) | ჩეხეთი ---------- | 704 |
| 15 | (14) | რუმინეთი ------ | 695 |
| 16 | (17) | ხორვატია ------ | 674 |
| 17 | (19) | შვედეთი -------- | 673 |
| 18 | (18) | დანია ----------- | 664 |
| 19 | (16) | აშშ -------------- | 660 |
| 20 | (23) | ჰონდურასი ---- | 656 |
| 24 | (20) | რუსეთი --------- | 648 |
| 33 | (47) | უკრაინა -------- | 617 |
| 59 | (72) | საქართველო -- | 548 |
| 64 | (54) | უნგრეთი ------- | 540 |
| 65 | (67) | უზბეკეთი ------ | 537 |
| 81 | (80) | ესტონეთი ------ | 491 |
| 82 | (86) | ბელარუსი ------ | 487 |
| 91 | (94) | ლიტვა ---------- | 456 |
| 94 | (94) | ლატვია --------- | 449 |
| 95 | (96) | სომხეთი -------- | 448 |
| 100 | (103) | მოლდოვა ------- | 440 |
| 107 | (104) | ყაზახეთი ------- | 421 |
| 113 | (114) | აზერბაიჯანი --- | 389 |
| 115 | (115) | თურქმენეთი --- | 382 |
| 143 | (142) | ტაჯიკეთი ------ | 266 |
| 165 | (165) | ყირგიზეთი ----- | 198 |

შენიშვნა: პირველ გრაფაში მოცემულია ადგილი, მეორეში — ადგილი წინა თვეში, მესამეში — ქვეყანა, მეოთხეში — კოეფიციენტი

ქართული ფეხბურთის გოლიათის ტრაგიკულად დაღუპვის გამო შორეული შოტლანდიიდან ვუსამძიმრებთ დავით ყიფიანის ოჯახს.

ჩვენთვის, ვისაც მის ხელში გაგვივლია, ოლიმპიური მომზადების ცენტრიდან დაწყებული, ეროვნული ნაკრების მოთამაშეობით დამთავრებული, დაუვიწყარი იქნება მისი ამაგი.

ქართული ფეხბურთის დღევანდელი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბებაში დავით ყიფიანს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ქედს ვიხრით მისი სიდიადისა და ხსოვნის წინაშე.

შოტლანდიური „დანდის" ქართველები
**გიორგი ნემსაძე**
**ზურაბ ხიზანიშვილი**

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სახელგანთქმული ფეხბურთელი

**დავით ყიფიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

დავით ყიფიანის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი ჩვენთვის დამთრგუნველი იყო. სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებთ მწუხარებას და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია"

საფეხბურთო კლუბი სამტრედიის „ლოკომოტივი" წუხს **დავით ყიფიანის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# დავით მუჯირის პოსტვასტიჩური რეპეტიცია

## ქართველის ერთში ოთხი



ზაზა ქათილაძის ფოტო

დავით მუჯირი

**ახალი მიზნებით** და იმედით წავიდა ქართველი ნახევარმცველი დავით მუჯირი ავსტრიაში. ჩვენში და მოლდოვის ჩემპიონატში მას ყველა ტიტული მოეგო. ავსტრიულმა „შტურმმაც" ყოველგვარი გასინჯვის გარეშე გაუფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი. მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა იქაურ ჟურნალისტებს და გუნდის ქომაგებს განუცხადა — მოლდოვიდან ქართველი ნახევარმცველი ვიყიდეთ, რომელიც მალე ვასტიჩს შეგვიცვლისო. იმხანად „შტურმი" თავისი წამყვანი მოთამაშის გასხვისებას აპირებდა.

მაგრამ ავსტრიულმა კლუბმა ვასტიჩი არსად გაუშვა და მუჯირიც სათადარიგო მოთამაშედ გაამწესეს. ხუთად ხუთი წუთი ავსტრიულ ჩემპიონატში — სხვა დროს ჩვენებური მხოლოდ ვარჯიშით კმაყოფილდებოდა.

გუშინწინ კი, სათასო მატჩში, ივიცა ოსიმმა ვასტიჩი შინ დატოვა და ვენის „რაპიდის" სათადარიგო გუნდთან სათამაშოდ მუჯირი წაიყვანა. „შტურმთან" ბრძოლა „რაპიდს" უჭირს და ფარმ-კლუბი აბა, რას გახდებოდა. სტუმრებმა 6:1 მოიგეს, ხოლო მუჯირის შეჩერება მასპინძლებმა ვერ შეძლეს. 90 წუთის მანძილზე ჩვენებურს ოთხჯერ მოუქნევია საგოლედ. მე-6, მე-16, 44-ე და 90-ე წუთებზე მასპინძელთა მეკარემ ვერაფერი გააწყო მუჯირის მარჯვედ და ზუსტად დარტყმული ბურთების წინააღმდეგ.

ალბათ, ადრე თუ გვიან ვასტიჩი მაინც წავა და „შტურმის" შუა ხაზის თავკაცობას ქართველ ნახევარმცველს ანდობენ. მანამდე კი დავითს მოთმენა და გაორკეცებული ჟინით ვარჯიში მართებს, რათა სათადარიგოთა სკამიდან ნელ-ნელა ძირითადობას გაეჩვიოს.

**მამუკა ძგანტალიანი**

# დებიუტი რიგიანი და წითლიანი

## ღრეჯოს სახე დაუღრიჯეს



ლევან მელქაძეს (მარჯვნივ) იტალიაში გამარჯვების თქმა არ აცალეს

**თვეზე** ოდნავ მეტი იქნება, ორი ვიტჯორჯიელი — ლევან მელქაძე და დავით დილმელაშვილი იტალიურ „სიენაში" რომ მოეწყვნენ. სერია B-ს ეს კლუბი ჩემპიონატში დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნის, თუმცა თასის გათამაშებაში ყოჩაღობს და წინ მიიწევს.

აქამდე ჩვენებურები „სიენას" რიგებში მხოლოდ ერთხელ, ისიც ამხანაგურ მატჩში გამოჩნდნენ, ხოლო ჩემპიონატის ბოლო ტურში სათადარიგოდ იყვნენ გამწესებულნი.

გუშინწინ „სიენამ" სათასო თამაშში სერია A-ს „ვერონას" უმასპინძლა და 1:0 მოიგო. დავით დილმელაშვილი პირველი წუთებიდანვე იყო მოედანზე და ურიგოდ არც უთამაშია. პაპადოპულომ ჩვენებური 74-ე წუთზე შეცვალა. დილმელაშვილმა კარგ თამაშთან ერთად ყვითელი ბარათის მიღებაც მოასწრო.

ლევან მელქაძე 81-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და ისე გამოვიდა, რომ მოედანზე მხოლოდ გამარჯვების სათქმელად შესულა. „ღრეჯო" 82-ე წუთზე გააძევეს. ჩვენებურს მეტოქე ეუხეშა, რისთვისაც მსაჯმა სტუმართა მცველი კი მიაბრძანა მოედნიდან, მაგრამ მერე მელქაძესთან შელაპარაკება მოუხდა და გასახდელის გზას ლევანიც გაუყენა.

**მამუკა ძგანტალიანი**

## იტალია

### თასის II ეტაპი. I მატჩი

**სიენა 1:0 ვერონა**

1:0 ძამბანა (26)

სიენა: ჯიანელო, მანდელი, ვორია, მინანი, რადიჩე, სკალცო, დილმელაშვილი (არჯილო 73), სკაჩალუგა, ბალძარეტი, კამპოლონი (მ. როსი 70), ძამბანა (მელქაძე 81)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულუ

გაფრთხილება: დილმელაშვილი, სკაჩალუგა, ჯიანელო

გაძევება: მელქაძე (82)

მსაჯი: ფარინა

2 500 მაყურებელი

საპასუხო მატჩი 24 ოქტომბერს

# გორდაში კაცია

„მე მივდივარ და ფეხბურთელებსაც ამას მოვუწოდებ" — „გურიასთან" წაგებული საშინაო თამაშის შემდეგ მსაჯებზე გულმოსული „გორდას" თავკაცი პრესკონფერენციაზე ემოციებს ვერ ერეოდა. მწვრთნელს კლუბის ხელმძღვანელმაც აუბა მხარი და დაიმუქრა, გუნდს ჩემპიონატიდან გავიყვანთო.

„გორდას" ჩემპიონატიდან გაქრობაზე რაღა მოგახსენოთ, მაგრამ იასონ ალადაშვილის წასვლაზე ადრეც იყო ლაპარაკი. რუსთაველი ფეხბურთის პატივცემული კაცი თანამდებობიდან ადრეც გადამდგარა, მაგრამ შორს არასდროს მიდიოდა. ალადაშვილი და „გორდა" მუდამ ერთად მოიაზრებოდა და, ალბათ, ასე იქნება ახლაც — აწ უკვე ყოფილი თავკაცი სამუშაოდ ისევ კლუბში დარჩება.

„გორდას" კი ახალი მწვრთნელი სჭირდებოდა და, ეტყობა, კლუბის მესვეურებიც უსაქმოდ არ იყვნენ. ჯერ ახალგაზრდული გუნდის თავკაც ვახტანგ კოპალეიშვილს მიმართეს თხოვნით, დაგვეხმარეო, მაგრამ კოპალეიშვილმა ნაკრებში მუშაობა ამჯობინა და რუსთაველებმაც სხვა კაცს დაადგეს თვალი.

თსუ-ს ყოფილი თავკაცი თენგიზ კაცია კოპალეიშვილის მეგობარი და თანამოაზრეა. ეტყობა, ბატონმა ვახტანგმაც ურჩია რუსთაველებს და საქმეც გაიჩარხა. მართალია, კლუბს და კაციას ხელი ხელზე საბოლოოდ ჯერ არ დაურტყამთ, მაგრამ ჩათვალეთ, ეგ საქმე ბეჭედდასმულიაო, გვითხრა გუშინ კოპალეიშვილმა.

თენგიზ კაცია „გორდას" რიგით მერვე თავკაცი იქნება. ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან რუსთაველი გუნდი გივი ნოდიას, გურამ ქოჩიაშვილს, რევაზ ძოძუაშვილს, იასონ ალადაშვილს, გიგლა იმნაძეს, გაიოზ დარსაძესა და გია გეგუჩაძეს გაუწრთვნიათ.

**მამუკა ძგანტალიანი**



ზაზა ქათილაძის ფოტო

თენგიზ კაცია

ჩემპიონთა ლიგა. II ტური. A ჯგუფი

# კაპ... კაპ... კაპელო იმედის წვეთებს აგროვებს



ანდერლეხტი — რომა. სტუმართა უპირველეს მეგოლე გაბრიელ ბატისტუტას ივ ვანდერეგემ (№4) და მისმა თანაგუნდელებმა არ გაატანინეს

**რეალი 4:0 ლოკომოტივი**

1:0 მუნიტისი (39), 2:0 ფიგუ (64პ), 3:0 რობერტო კარლოსი (81), 4:0 სავიო (87)

**რეალი:** კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი (სოლარი 83), კარანკა, იერო, ფლავიო კონსეისაო (სელადესი 76), მაკელელე, სავიო, ფიგუ (მაკმანამანი 88), რაული, მუნიტისი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

**ლოკომოტივი:** ნიგმატულინი, ჩუგაინოვი, ჩერევჩენკო, ობრადოვიჩი, დროზდოვი, მამინოვი, იზმაილოვი, ლეკხეტო, ლოსკოვი, ობიორა (ბუზნიკინი 60), პიმენოვი (ვუჩიცევიჩი 74)

მწვრთნელი: იური სიომინი

მსაჯი: სტეფან ბრე (საფრანგეთი)

40 000 მაყურებელი

**როცა** ვისენტე დელ ბოსკემ სალოკომოტივოდ სასტარტო შემადგენლობა დაასახელა, იქ არც მაკმანამანი იყო და არც გუტი. ინგლისელი სათადარიგოთა სკამზე იჯდა, ხოლო პირველ ტურში რომაული მატჩის ერთ-ერთი გმირი გუტი ვარჯიშისას დაშავდა. მათ მაგივრად სავიომ და მუნიტისმა ითამაშეს, რომლებიც ძალიან იშვიათად ხვდებიან სასტარტოში.

მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა, „რეალი“, როგორც იტყვიან, თავზე აჯდა მეტოქეს და გამუდმებით ბომბავდა. მაგრამ ბომბი, ანუ ბურთი, ჯიუტად არ ხვდებოდა მიზანში და მადრიდელმა ფანებმა პირველად ტაიმის მიწურულსღა გაიხარეს, როცა მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეჭრილმა რაულმა მეურვეები მოიცილა, უზუსტესი პასი გადააწოდა მუნიტისს და ამას რომ ვერ გაეტანა, სირცხვილი იქნებოდა.

მეორე გოლის შექმნაში პირველის ავტორმა მიიღო მონაწილეობა — რკინიგზელთა საჯარიმოში იური დროზდოვს თავი წააქცევინა და პენალტი ჩვეულებისამებრ ლუიშ ფიგუმ დაარტყა.

თუ „ლოკომოტივს“ აქამდე რაღაცის იმედი ჰქონდა, დაკარგა და მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე რობერტო კარლოსისგან მესამე გაუშვა. რუსმა მცველებმა ჩია ბრაზილიელის შეჩერება ვერ შეძლეს და იმის იმედად თუ იყვნენ, რუსლან ნიგმატულინი გადაგვარჩენსო, მაგრამ რობერტო კარლოსის ყუმბარისებური დარტყმის მოგერიება რომ ერთობ ძნელია, თავადაც მოგეხსენებათ.

ბოლოს სავიომაც იხეირა. მან ნიგმატულინისგან მოგერიებულს დაამატა, რუს მეკარეს კი პირველად ალბერტ სელადესმა დაურტყა.

ამ თამაშზე ლაპარაკისას ორი საინტერესო ფაქტიც უნდა აღვნიშნოთ. ერთი, რომ ლოკომოტიველთაგან საუკეთესოდ ნიგმატულინი დაასახელეს. ჰოდა, ოთხი გოლის გამშვები მეკარე თუ საუკეთესო იყო, იოლი წარმოსადგენია, დანარჩენები როგორც თამაშობდნენ. მეორე საინტერესო ამბავი კი ფიგუს გაფრთხილებაა, რომელიც მან მსაჯთან კამათისთვის მიიღო, ბურთი აუტზე რუსის ფეხიდან გავიდაო. ნეტავ, რაში დასჭირდა ფიგუს სრულიად უწყინარ ვითარებაში მსაჯთან უაზრო კამათი.

თამაშის მერე დელ ბოსკემ თქვა: „ცხადია, კმაყოფილი ვარ. მორიენტესი და გუტი არ გვყავდა და მაინც ოთხი გოლი გავიტანეთ. ეს ნიშნავს, რომ „რეალის“ თამაშზე ერთი-ორი ფეხბურთელის არყოფნა გავლენას ვერ ახდენს და ვფიქრობ, მთავარი სწორედ ეს არის“.

იური სიომინიც ფეხბურთელების არყოფნაზე ლაპარაკობდა, ოღონდ სხვა კუთხით: „ჩვენი რამდენიმე წამყვანი მოთამაშის არყოფნამ დაღი დაგვასვა. აი, ნახავთ, როცა ისინი მომჯობინდებიან, სულ სხვა ფეხბურთს ვითამაშებთ.“

**ანდერლეხტი 0:0 რომა**

**ანდერლეხტი:** დე ვილდე, ვანდერეგე, დე ბუკი, ვან ჰუტი, ბასეჯიო (ელ საიდი 85), სტოიკა (ო. ტომპსონი 78), ჰენდრიქსი, ჰასი, კრასონი, მორნარი (დე ბილდე 66), დინდანე

მწვრთნელი: ემე ანტუნესი

**რომა:** ანტონიოლი, კაფუ, ძაგო, ლიმა, ძებინა, სამუელი, ტომაზი, კანდელა, ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა (მონტელა 82)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

21 436 მაყურებელი

**„რომას“** ამ სეზონში ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია, ლიგის მეორე ტურშიც ბრიუსელში ფრედ ითამაშა, რაც უდავოდ არასახარბიელო შედეგია. მაგრამ ფაბიო კაპელოსაც მოვუსმინოთ: „ჩემმა გუნდმა როგორც იქნა, კარგად ითამაშა“.

ახლა გავარჩიოთ, თუ რით არის კაპელო კმაყოფილი. მატჩის სადავეები „რომას“ ეპყრა და გამუდმებით უტევდა. რამდენიმე უაღრესად ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა გაბრიელ ბატისტუტასაც, ის მეკარესთან პირისპირაც კი გავიდა, მაგრამ ერთხელაც ვერ იხეირა, რაც მისი კლასის მეგოლისგან გასაკვირია.

„მართალია, გოლი ვერ გავიტანეთ, მაგრამ ხუთი თუ ექვსი ბრწყინვალე შანსი გვქონდა. თამაშის სწრაფი ტემპი და მოთამაშეთა თავდადება, რაც აქამდე გვაკლდა, აშკარად პროგრესზე მიუთითებს“ — განმარტა რომაელთა მწვრთნელმა.

თუ „რომა“ „ანდერლეხტთან“ ფრით კმაყოფილია, „ანდერლეხტი“ მით უფრო კმაყოფილი უნდა იყოს. ემე ანტუნესი ამბობს: „მეტოქე უკეთ თამაშობდა და აქედან გამომდინარე, ფრე ურიგო შედეგი სულაც არ არის“.

ზემოთ ნათქვამიდან ისეთი შთაბეჭდილება რომ არ დაგვრჩეს, თითქოს ბელგიელები მხოლოდ თავს იცავდნენ, აღვნიშნოთ, რომ რამდენჯერმე მათაც ძალიან სახიფათოდ შეუტიეს.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| რომა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. II ტური. B ჯგუფი

# სულამოხდილი ფეხბურთი

**დორტმუნდი 0:0 ლივერპული**

**დორტმუნდი:** ლემანი, ვიორნსი, იურგენ კოლერი, დედე, ევანილსონი, სტევიჩი, როიტერი, როსიცკი, სორენსენი (რიკენი 88), იან კოლერი, ამოროზო (ბობიჩი 88)

მწვრთნელი: მათიას ზამერი

**ლივერპული:** დუდეკი, კარაგერი, ჰიუპია, ანშო, ვინალი, მერფი, რიისე (მაკალისტერი 75), ჰამანი, ჯერარდი, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ჟერარ ულიე

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

50 000 მაყურებელი

**მოსაწყენი** გამოდგა მორიგი გერმანულ—ინგლისური შებმა. მქუხარე სახელიანმა გუნდებმა მაყურებელს დიდი ვერაფერი სანახაობა შესთავაზეს. იყო ბრძოლა, ტაქტიკური გეომეტრია და დაძაბულობა, მაგრამ არ ყოფილა ფეხბურთი. თითქოს ამ გენიალურ თამაშს სული ამოხადესო.

„ლივერპული“ წლეულს მეორედ თამაშობდა „ვესტფალენშტადიონზე“. მაისში, უეფას თასის ფინალში, ინგლისელებმა სწორედ დორტმუნდში მოუგეს „ალავესს“. მაშინ მართლაც ლაღი ბურთაობა იყო და ცხრა გოლიდან ხუთი „ლივერპულმა“ გაიტანა. ახლა კი...

90 წუთის მანძილზე სულ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი გათამაშდა. ერთხელ კუთხურს ანშოს თავური მოჰყვა და გერმანელები ბრაზილიელმა ევანილსონმა გადაარჩინა, როცა ბურთი ლამის ცარიელი კარიდან გამოიტანა. მერე ანშომ კიდევ ერთხელ დაჰკრა ბურთს თავი და... საკუთარი კარის ძელს მოარტყა. შვეიცარიელი დორტმუნდელთა სახიფათო შეტევის გაუვნებლებას ცდილობდა და კინაღამ თავის მეკარეს გაუტანა. იმავე მარცხენა ძელს მოხვდა ბურთი როსიცკის შორეული დარტყმის მერე. მოკლედ, „ლივერპული“ ორჯერ გადარჩა. პირველი ტაიმის მიწურულს კი მსაჯს პენალტის დანიშვნაც შეეძლო. საჯარიმოში შევარდნილი ოუენს როიტერმა მაისურზე მოქაჩა, მაგრამ რუსი ვალენტინ ივანოვი მასპინძელთა დასჯას მოერიდა.

აი, სულ ეს იყო და თუ ტელემაყურებელი თამაშის ბოლომდე შემორჩა ეკრანს, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს „ლივერპული“ ერქვა და მეორეს „ბორუსია“.

„ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგია — თქვა დორტმუნდელთა მწვრთნელმა მათიას ზამერმა — თუმც ვერ ვიტყვი, რომ შედეგმა გამახარა. ზედიზედ ორმა ფრემ გეგმები აგვირია. ისე კი, ჩემი ფეხბურთელები ზედმეტად შებოჭილები მეჩვენენ, ამიტომაც ვერ გამოავლინეს საუკეთესო თვისებები. სხვა რგოლებისგან მაინც დაცვის სოლიდურ თამაშს გამოვარჩევდი. კაპიტანი როიტერიც უკან საგანგებოდ ოუენის სათვალთვალოდ დავხიეთ და მგონი არც შევმცდარვართ“.



დორტმუნდი — ლივერპული. ემილ ჰესკი გერმანელი მცველებისთვის პრობლემა არ იყო

„ლივერპულის“ მწვრთნელი ჟერარ ულიე: „ლიგაში „დორტმუნდი“ უფრო გამოცდილი მებრძოლია და ამიტომ შედეგით. კმაყოფილი ვარ. მოწინააღმდეგემ სამოქმედო სივრცე მკაცრად შეგვიზღუდა, რადგან იცოდნენ, ჩემს ფეხბურთელებს ოდნავი თავისუფლება თუ მიეცი, მერე ველარ გააჩერებ. დაცვამ კარგად ითამაშა, შეტევით კი უკმაყოფილო გახლავართ. თავდამსხმელებისთვის ეს ერთი საშუალო, არაფრისმთქმელი მატჩი გამოდგა“.

**ბოავიშტა 3:1 დინამო**

1:0 სანჩესი (3), 1:1 გიოანე (5), 2:1 ელპიდიუ სილვა (10), 3:1 დუდა (29)

**ბოავიშტა:** რიკარდუ, პაულუ ტურა, ერივენი, პედრუ ემანუელი, ფრეშაუ, პეტი, სანჩესი, გლაუბერი, ელპიდიუ სილვა (მარსიუ სანტუში 86), დუდა (ბოსინგვა 80), ალეშანდრე (პედრუ სანტუში 75)

მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

**დინამო:** ფილიმონოვი, ხაცკევიჩი (იდაჰორი 56), გოლოვკო, ვაშჩუკი, მელაშჩენკო, ბელკევიჩი, გიოანე, ფიოდოროვი, ნესმაჩნი, ჩერნატი, გავრანჩიჩი

მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი

მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)

10 000 მაყურებელი

**დორტმუნდული** დაპირისპირებისგან განსხვავებით, პორტუში ერთმანეთს უფრო დაბალი კლასის გუნდები შეხვდნენ, მაგრამ თამაში გაცილებით ცოცხალი გახლდათ. განსაკუთრებით პირველი ნახევარი საათი, როცა მაყურებელმა ოთხი გოლი იხილა.

კერკეტმა „ბოავიშტამ“ ლივერპულურ ფრეს „დინამოსთან“ მოგება მიაყოლა და მოულოდნელად ჯგუფის ლიდერად მოგვევლინა. ტყუილად როდი ამბობდა მწვრთნელი ჟაიმე პაშეკუ, ჩვენთვის უბრალო მატჩები არ არსებობს, „დინამოსთან“ სერიოზულად განვეწყობით და მოვიგებთო.

ყველაფერი პორტუგალიელთა შესაშურმა ჟინმა და მეკარე ფილიმონოვის უხეირო თამაშმა გადაწყვიტა. უკვე მე-3 წუთზე ბოლივიელმა ვეტერანმა ერვინ სანჩესმა კარგა შორიდან ოსტატურად შეასრულა საჯარიმო, ბურთი ცოცხალ კედელს შემოატარა და მარჯვენა კუთხეში გაიტანა. ფილიმონოვს კი ეტყობა, ეგონა, ცდებაო და არც გადამხტარა.

უჩვეულო, ნარინჯისფერ ფორმაში გამოწყობილი ბოავიშტელების პირველი სიხარული კიეველებმა მალევე გაანელეს. წუთნახევარში რუმინელმა გიოანემ საპასუხო შეაგდო. მაგრამ მასპინძლები არ დაბნეულან, ისევ შტურმზე გადავიდნენ და ელპიდიუ სილვამ ახლოდან მეორე გაიტანა. ფილიმონოვმა თავისიანები ვერც ამჯერად გადაარჩინა, თუმცა კი შეეძლო.

მესამე გოლი კი კიეველთა დაცვის შეუთანხმებლობას მოჰყვა. სილვას მორიგი ჩაწოდებისას მათ ხელოვნური თამაშგარეს შესრულება სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ და მეკარესთან მარტოდ დარჩენილმა დუდამ თავურით ბურთი კარში გადაგზავნა.

„ალბათ ყველა შეამჩნევდით, რომ ეს ჩვენი საუკეთესო მატჩი არ იყო — განაცხადა კიეველთა დამრიგებელმა ვალერი ლობანოვსკიმ — აბა, ასეთი გოლების გაშვება როგორ შეიძლება. დაცვაშიც ჩავფლავდით და რამდენჯერმე გასატანიც ვერ გავიტანეთ, მაგრამ ამ მარცხისგან ტრაგედიას არ შევქმნით. ლიგა გრძელდება და ვეცდებით, თამაშის ხარისხი გამოვასწოროთ“.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლივერპული | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |

ჩემპიონთა ლიგა. II ტური. C ჯგუფი

# არტისტულ-აფერისტული


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — შალკე. სტუმარ-მასპინძელი: ვიქტორ აგალი (მარცხნივ) და მარტინ კიოუნი

**არსენალი 3:2 შალკე**

1:0 ლიუნგბერგი (33), 2:0 ანრი (35), 2:1 ვან ჰუგდალემი (43), 3:1 ანრი (47პ), 3:2 მპენზა (59)
არსენალი: სიმენი, ლორენი, კიოუნი, გრიმანდი, ვან ბრონკჰორსტი, პირესი (ინამოტო 76), ვიეირა, ლიუნგბერგი, პარლოუ, ანრი (აშლონი 90), ვილტორდი (ბერხკამპი 72)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, უდე კამპუისი, ვან ჰუგდალემი, ბიომე (მულდერი 82), მიოლერი (ა. ჯორჯევიჩი 72), ვერმანტი (ასამოა 54), აგალი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
35 361 მაყურებელი

**„ჩვენი** გუნდის შემადგენლობაში ჩატარებულ 120 მატჩში მან 51 გოლი გაიტანა. მსოფლიოში არც ისე ბევრი ფეხბურთელია, ვინც ასეთი შედეგით დაიკვეხნის, მაგრამ მას რატომღაც მაინც აკრიტიკებენ. დღევანდელი თამაშით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კრიტიკა უსაფუძვლოა. დღეს იგი ბრწყინავდა“ — ეს სიტყვები ლონდონის „არსენალის“ ფრანგ მწვრთნელ არსენ ვენგერს ეკუთვნის. იგი თანამემამულე ტიერი ანრის ასხამს ხოტბას, ფეხბურთელს, რომელმაც „შალკეს“ ორი გოლი გაუტანა. ინგლისელებმა კი გერმანელები დაამარცხეს და სამი ქულაც მოიპოვეს. „შალკე“ კი კვლავ ნულზე და ბოლო ადგილზეა.

ტიერი ანრი მართლაც მატჩის გმირი იყო. მან დუბლი შეასრულა, აქედან ერთი პენალტით გაიტანა. თერთმეტმეტრიანი კი პატრიკ ვიეირას წაქცევისთვის დაინიშნა. იგი ოლივერ რეკმა მოცელა. მრავალთა აზრით იმ მომენტში არბიტრი შეცდა და გერმანელთა მეკარე დამნაშავე არ იყო. თავად დაზარალებული ვიეირა კი ამბობს: „ვთვლი, რომ უსამართლო პენალტი არ ყოფილა და ამიტომ არ მრცხვენია. ბოლოს და ბოლოს მსაჯმა მიიჩნია ასე და მან ჩასტვინა“.

„შალკეს“ მწვრთნელ ჰუუბ სტევენს კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მსაჯზე აუგი არ დასცდენია: „პენალტი არ ყოფილა, მაგრამ ამაში მსაჯს არ ვადანაშაულებ. ვიეირა ჭკვიანია და იცის, სად და როდის წაიქცეს“.

„ჰაიბერიზე“ ბრძოლა იყო. გერმანელები იოლად არ დანებებულან. ვენგერმა აღნიშნა, რომ ლიუნგბერგისა და ანრის გოლების შემდეგ მის გუნდს მაინც გაუჭირდა გამარჯვების შენარჩუნება. ფრანგმა თქვა: „ბევრი გუნდი „ჰაიბერიზე“ იმ განწყობით ჩამოდის, რომ თავი დაიცვას, მაგრამ „შალკეს“ მოგების ჟინი უფრო ეტყობოდა. ჩვენ კი ოდნავ ვნერვიულობდით. პირველი მარცხის შემდეგ გამარჯვება ძალიან გვჭირდებოდა. ერთობ მნიშვნელოვანი იქნება მომავალი კვირის მატჩები. ბევრ რამეს მოეფინება ნათელი“.

„არსენალს“ სამი მცველი აკლდა — ეშლი კოული, სოლ კემპბელი და ტონი ადამსი, თუმცა ვენგერმა თქვა, შემცვლელებმა, მიუხედავად ორი გაშვებული გოლისა, ჩინებულად ითამაშესო.

**პანათინაიკოსი 2:0 მალიორკა**

1:0 ვლაოვიჩი (25), 2:0 კონსტანტინუ (28)
პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, პაულუ სოუზა, ვლაოვიჩი (ვოკოლოსი 84), მიკაელსენი, კარიაკოსი, კონსტანტინუ (ოლისადებე 80), ბასინასი, კარაგუნისი (კოლკა 81), ფისასი
მწვრთნელი: იოანის კირიასტასი
მალიორკა: ლეო ფრანკო, კამპანო (ნოვო 70), მიგელ სოლერი, ფატიში, ფერნანდო ნინიო, ჰაუნოვიჩი, მარკოსი (რიერა 86), ნადალი, ენგონგა, ეტოო, ლუკე (კარლოსი 60)
მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
17 000 მაყურებელი

**„პანათინაიკოსი“** იგებს, „პანათინაიკოსი“ არ ხუმრობს. პირველ ტურში „შალკესთან“ გამარჯვების შემდეგ ბერძნებს მადა კიდევ უფრო მოემატათ და ახლა შინ „მალიორკა“ 2:0 დაამარცხეს, თანაც ესპანელებს ორივე გოლი პირველ ტაიმში გაუტანეს. უნდა ითქვას, რომ საწყის 25 წუთში არც ერთ გუნდს მოუკლავს შეტევებში თავი, დაცვაზე უფრო ზრუნავდნენ. ბერძნები მეტოქის ნახევარზევე იწყებდნენ პრესინგს, რამაც შედეგი გამოიღო. 25-ე წუთზე საგოლე კომბინაცია იან მიკაელსენმა წამოიწყო, ესპანელთა საჯარიმომდე ირბინა და ბურთი გორან ვლაოვიჩს გადასცა. ამ უკანასკნელმა დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან დაარტყა, რაც მთავარია, ზუსტად. „მალიორკამ“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი გოლი გაუშვა.

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა მოხდებოდა ტრიბუნებზე. ბერძენი ფანები გოლმა კინაღამ გადარია, რამაც „პანათინაიკოსს“ ფრთები შეასხა. სამი წუთი დასჭირდა მეორე გოლს. კომბინაციას კი, ისევ მიკაელსენმა ჩაუდგა სული, თუმც ამჯერად ბურთით სირბილს გრძელი პასი არჩია და ისევ ვლაოვიჩი მონახა, მან თავით კონსტანტინუს გადააწოდა. კონსტანტინუმ დაახლოებით იგივე გააკეთა, რაც პოლ გესქოინმა 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე შოტლანდიელების წინააღმდეგ. ერთი შეხებით ბურთი მცველს თავზე გადაუგდო, მერე კი ძლიერად მოიქნია და შეაგდო.

„მალიორკა“ გატყდა. ესპანელებს ხეირიანად არაფერი გამოსდიოდათ. დარჩენილ დროში მხოლოდ სამი მომენტი შექმნეს, აქედან საგოლე მხოლოდ ორს თუ ეთქმის. ბერძნებს კი პირიქით, კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ დაემწუხრებინათ ესპანელთა მეკარე ლეო ფრანკო. ერთი წუთის განმავლობაში მარტო კონსტანტინუმ შექმნა ორი საგოლე მომენტი. არ უნდა დავუკარგოთ დამსახურება ლეო ფრანკოსაც. მეორედ სწორედ არგენტინელმა იხსნა „მალიორკა“ გოლისგან, კარისკენ მიმავალ ბურთს ხელი წაჰკრა და კუთხურზე გადააგდო.

მალიორკელთაგან თუ ვინმეს გამორჩევა შეიძლება, სამუელ ეტოოა. თავის დაცვის უხეირობის გამოსწორებას შეტევებით ცდილობდა და ხსენებული საგოლე მომენტებიც მან შექმნა, მაგრამ კამერუნელს არ გაუმართლა.

ბერძენთა ორი გამარჯვება და ჯგუფში ლიდერობა იმითაცაა გასაკვირი, რომ მათ საშინაო ჩემპიონატი არ დაუწყიათ და ჩვეულ ფორმამდე ჯერ შორს არიან.

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| არსენალი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მალიორკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა. II ტური. D ჯგუფი

# ელასა, მელასა, ნანტი მოუგებს ყველასა?

**ლაციო 1:3 ნანტი**

0:1 ფაბრი (3), 1:1 ფერნანდუ კოუტუ (6), 1:2 არმანი (63), 1:3 ზიანი (86)
ლაციო: პერუცი, ფავალი, სტამი (პანკარო 71), ნესტა, ფერნანდუ კოუტუ, მენდიეტა (კლაუდიო ლოპესი 65), სტანკოვიჩი, სიმეონე, ფიორე, კრესპო (კოვაჩევიჩი 76), ინძაგი
მწვრთნელი: დინო ძოფი
ნანტი: ლანდრო, ფაბრი, ჟილე, ანდრე (ვ. დალმა 70), დელომო, ბერსონი, აპამადა (კუინტი 66), ჯემბა, არმანი, დეროფი, ზიანი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
30 000 მაყურებელი

**კიდევ** ერთი ზღაპარი დასრულდა. „ნანტმა“ იარა, იარა და „ლაციოს“ გადაუარა. დინო ძოფი მოხსნეს, რომაული კლუბის გულშემატკივრები შოკში არიან. არადა, რას წარმოადგენს დღევანდელი „ნანტი“? გუნდი, რომელიც მოქმედი ჩემპიონია, ცხრილის ფსკერიდან ამოჰყურებს დანარჩენ საფრანგეთს. შვიდ მატჩში გამარჯვების გემო არ იცის და თან სულ რაღაც ოთხი ბურთი გაუტანია. აი, ლიგაში კი მაინც ჩემპიონურად თამაშობს, ერთმანეთს მიაყოლა „ეინდჰოვენი“ და „ლაციო“. მოულოდნელი იყო „ნანტის“ გამარჯვება? ვფიქრობ, არა. ამ შეხვედრაში ფაქტობრივად დინო ძოფის ბედი წყდებოდა. გუნდს აუცილებლად უნდა მოეგო. ფრანგები კი თავიანთი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით უფრო თავისუფლად გამოიყურებოდნენ.

რომაელები პირველი წუთებიდანვე შეეცადნენ მეტოქის ნახევარზე დამკვიდრებულიყვნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს. უკვე მესამე წუთზე მასპინძელთა საჯარიმოში ფრანგთა გაწელილი კომბინაცია ნესტორ ფაბრის ზუსტი თავურით დასრულდა. ოთხიოდ წუთში ფერნანდო კოუტუმ ანგარიშის გათანაბრება შეძლო და რომაელებს იმედი ჩაუსახა. მენდიეტაზე უკეთ ამ შეხვედრაში ფიორე გამოიყურებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ისინი გუნდის საერთო სურათში ვერ ჩაეწერნენ. მეორე ნახევარში მასპინძელთა შეტევითი პოტენციალი მინელდა, ფრანგები კი სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. 63-ე წუთზე მარცხენა ფლანგზე სილვენ არმანმა გაიღალა, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა და ლამაზი, მოჭრილი დარტყმით ბურთი კარის შორეულ კუთხეში ჩაჭედა. ამის მხილველმა სერჯიო კრანიოტიმ ლოჟა დატოვა, ძოფმა კი გაისკა მენდიეტას ნაცვლად მოედანზე კლაუდიო ლოპესი შეუშვა. იყო დრო, ორი ბრწყინვალე ფეხბურთელი „ვალენსიას“ ლიდერობდა და მოწინააღმდეგეებს მიწასთან ასწორებდა — ახლა კი...

შეხვედრის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე სტეფან ზიანიმ საბოლოოდ დააზიანა „ლაციოს“ გულშემატკივართა ნერვები და ცხვირჩამოშვებულ მასპინძლებს ცხრილის ბოლოში მიუჩინა ადგილი.

**პსვ ეინდჰოვენი 3:1 გალათასარაი**

1:0 ბრუგინკი (38), 2:0 ფაბერი (53), 2:1 უმით კარანი (66), 3:1 კეჟმანი (90)
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ფაბერი, ვან ბომელი, რამზი (ჯ. დე იონგი 85), ფოგელი, ბადო, კოლინი, კეჟმანი, ბრუგინკი (ვენეგოორ ოფ ჰესელინკი 74), რომედალი (ლუსიუსი 74), ბუმა
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, გიოქთანი, სუატი (ბიულენთ აკინი 58), უმით კარანი, კაპონე, სერგენი, ერგუნი, ჰასან შაში, ჰაქან უნსალი (ვიქტორია 58)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
27 000 მაყურებელი

**„ნანტთან“** პირველ ტურში წაგებული მატჩის შემდეგ ჰოლანდიელები თავს იმართლებდნენ, ამერიკაში დატრიალებულმა ტრაგედიამ ჩვენზე დამთრგუნველად იმოქმედა, ამიტომაც წავაგეთ დიდი ანგარიშითო. ისინი იმ შედეგის გაუქმებას და გადათამაშებასაც კი ითხოვდნენ. „ეინდჰოვენს“, ეტყობა, გული მოუბრუნდა თამაშისკენ და გამარჯვება რომ შესძლებია, დაამტკიცა კიდეც. „ლაციოს“ წამქცევმა „გალამ“ პირველ ტაიმში საკმაო წინააღმდეგობა გაუწია მასპინძლებს. სახიფათო მომენტებიც მეტ-ნაკლებად ორივე კართან იქმნებოდა, გოლი კი მხოლოდ ტაიმის მიწურულს გავიდა სტუმართა კარში. ეს არნოლდ ბრუგინკმა გააზერხა.

მეორე ნახევარში „ეინდჰოვენმა“ ანგარიშის გაორება ერნსტ ფაბერის ძალისხმევით შეძლო და ჰოლანდიელები ოდნავ მოეშვნენ. თურქებმა თამაშის დალაგება სცადეს. უმით კარანი მასპინძელთა კარს რამდენჯერმე დაემუქრა და ერთი საპასუხო გოლის გატანა 63-ე წუთზე შეძლო. ამ შეხვედრაში კარგად გამოიყურებოდა „გალას“ გამთამაშებელი სერგენი, რომელიც ზუსტი პასებით ამაგრებდა თავდამხმელებს. ერთ ეპიზოდში იმავე უმით კარანმა სერგენის პასი ვერ შეიშნო, წინ გამოსულ ვატერეუსს ბურთი თავზე კი გადაუგდო, მაგრამ კარსაც გადააცილა. მატჩის მიწურულს სტუმრები გათანაბრებას ლამობდნენ და დიდი ძალებით შეუტიეს. კეჟმანმა თურქები კონტრშეტევაზე გამოიჭირა, მესამე გაიტანა და საფინალო სასტვენის ხმაც გაისმა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანტი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ლაციო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |


REUTERS რომიდან

ლაციო — ნანტი. რომაელი ფერნანდუ კოუტუ და პასკალ დელომო (№12)

# ციგეს არაადამიანური, შერინგემის გონივრული

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VI ტური

**ბლექბერნი 1:1 ბოლტონი**

0:1 უოლესი (69), 1:1 ნაილი (87)
ბლექბერნი: ფრიდელი, ბიორნებიუ, ბერგი, თუგაი, ფლიტკროფტი, დაფი, მაჰონი (მაკატირი 55), ჯონსონი (ჰიუზი 75), ნაილი, გრაბი (ბენტი 72), იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ბოლტონი: იასკელაინენი, უიტლოუ, ბერგსონი, გარდნერი, ნოლანი, ბერნესი, ჩარლტონი, ვარჰურსტი, რიკეტსი (ნგოტი 83), ჰანსენი (ჰოლდსუორთი 46), პედერსენი (უოლესი 62)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: ბერგსონი, ვარჰურსტი, უოლესი, იასკელაინენი
მსაჯი: ჯ. უინტერი
25 949 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:2 ტოტენჰემი**

0:1 ციგე (26), 0:2 შერინგემი (51), 1:2 ფილიპსი (79)
სანდერლენდი: მაჩო, ჰაასი, კრადოკი, მაკკარტნი (უილიამსი 57), გრეი, არკა, მაკკენი, შვარცი, კილბეინი (ლასლანდი 78), ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ტოტენჰემი: სალივანი, ტარიკო, პერი, კინგი, ციგე, ფრიინდი, დევისი, პოიეტი, ანდერტონი (ლეონარდსენი 83), ლ. ფერდინანდი (რებროვი 69), შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ციგე, შვარცი, პერი
მსაჯი: პ. დარკინი
47 310 მაყურებელი

**მაშინ,** როცა ევროპის სტადიონებზე და ლონდონშიაც ჩემპიონთა ლიგის მატჩები იყო გაზურებული, ბლექბერნსა და სანდერლენდში პრემიერლიგის თამაშები გაიმართა. ეგებ, სულ ცოტა ხნით, მაგრამ ბლექბერნში სტუმრად მყოფმა „ბოლტონ უონდერერსმა" მაინც მოახერხა და ლიგის ცხრილს სათავეში მოექცა, რაზანღა ქულა აართვა მასპინძლებს.

სემ ოლარდისის „ბოლტონს" სამი წუთი აკლდა გამარჯვებამდე. სტუმრები ერთ დროს სქოთურ „რეინჯერსში" მოთამაშე შავმა ინგლისელმა როდ უოლესმა დააწინაურა 69-ე წუთზე. უოლესს სადებიუტო საღამო ჰქონდა და ეს დღე თავურით აღნიშნა. ბლექბერნელმა ავსტრალიელმა ლუკას ნილმა 87-ე წუთზე შეაგდო საპასუხო, ასევე თავურით, რომელიც კუთხურს მოჰყვა.

სანდერლენდში კი იქაური გუნდი დასცა „ტოტენჰემმა". მატჩის გმირად სტუმართა კაპიტანი ტედი შერინგემი აღიარეს, რომელიც გლენ ჰოდლის გუნდის ნამდვილ გონებად ქცეულა. ლონდონელები 51-ე წუთისთვის უკვე 2:0-ს იგებდნენ. პირველ ტაიმში კრისტიან ციგემ არაადამიანური ძალით დაარტყა 40 მეტრიდან და ანგარიშიც ასე გაიხსნა. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა შერინგემი საიმონ დევისის კროსს შეეგება და სტუმრები უკვე ორი გოლით დააწინაურა. მასპინძელთა შეტევებმა შედეგი 79-ე წუთზე გამოიღო, როცა კევინ ფილიპსმა ჩვეული, ბასრი ბურთი გაიტანა. თუმცა ამაზე მეტი სტუმრებმა მასპინძლებს არ შეაძლებინეს.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS ბლექბერნიდან

ბლექბერნი — ბოლტონი. მასპინძელი კორადო გრაბი და გუდნი ბერგსონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:3 | 11 |
| ლიდსი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 11 |
| არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:4 | 10 |
| ნიუკასლი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:6 | 8 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:10 | 8 |
| ჩელსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ტოტენჰემი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| სანდერლენდი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:5 | 8 |
| ევერტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | 7 |
| ასტონ ვილა | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| ლივერპული | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| ბლექბერნი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| მიდლსბრო | 6 | 2 | 0 | 4 | 5:12 | 6 |
| იფსვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| ფულემი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| დერბი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ჩარლტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლესტერი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | 4 |
| საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | 3 |
| ვესტ ჰემი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:4 | 2 |

### I დივიზიონი. VIII ტური

**ძოვენთრი 4:3 მანჩესტერ სიტი**

1:0 სტიუარტ პირსი (16), 1:1 ბიშოპი (30), 2:1 კონჯიჩი (45), 2:2 ჰორლოკი (57), 3:2 ლ. ჰიუზი (66), 3:3 ჰალი (74), 4:3 ტომსონი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 8 | 7 | 0 | 1 | 23:12 | 21 |
| ნორვიჩი | 7 | 5 | 1 | 1 | 10:6 | 16 |
| პორტსმუთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:11 | 15 |
| ვულვზი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:9 | 15 |
| ბრედფორდი | 7 | 4 | 2 | 1 | 17:8 | 14 |
| გრიმსბი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:11 | 14 |
| ვესტ ბრომვიჩი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 13 |
| სიტი | 7 | 4 | 0 | 3 | 18:14 | 12 |
| ბირმინგემი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:11 | 12 |
| ქოვენთრი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| კრ. პალასი | 6 | 3 | 0 | 3 | 17:14 | 9 |
| ნოტინგემი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| უიმბლდონი | 8 | 2 | 3 | 3 | 14:13 | 9 |
| მილუოლი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:10 | 9 |
| უოტფორდი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:12 | 9 |
| შეფილდი | 7 | 1 | 5 | 1 | 8:8 | 8 |
| ბარნსლი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:15 | 8 |
| ჯილინგემი | 7 | 2 | 1 | 4 | 12:11 | 7 |
| უენსდი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:9 | 6 |
| პრესტონი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:13 | 6 |
| ქრიუ | 7 | 2 | 0 | 5 | 5:15 | 6 |
| უოლსოლი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:13 | 5 |
| როტერჰემი | 7 | 0 | 3 | 4 | 7:14 | 3 |
| სტოკპორტი | 7 | 0 | 2 | 5 | 7:15 | 2 |

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინელ** მწვრთნელ დანიელ პასარელას „პარმაში" ეპატიჟებიან და, როგორც სააგენტოები იუწყებიან, თითქმის ყველაფერი მზადაა საიმისოდ, რომ მან იტალიური კლუბი ჩაიბაროს. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი დაახლოებით ერთი კვირის წინ იმყოფებოდა იტალიაში, თუმცა მაშინ მას „პარმასთან" მოლაპარაკებებზე არაფერი გაუმხელია, მწვრთნელი „პარმასა" და „ბოლონიას" მატჩსაც დაესწრო. შეგახსენებთ, რომ პასარელა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებს წვრთნიდა, შემდეგ იგი ურუგვაის ეროვნულ გუნდს ჩაუდგა სათავეში, ეს პოსტი კი ამ რამდენიმე ხნის წინ დატოვა.

**ესპანური „ლას პალმასის" პრეზიდენტი მანუელ გარსია ნავარო თანამდებობიდან გადადგა. მან ეს გადაწყვეტილება დირექტორთა საბჭოს სხდომაზე კვირის დასაწყისში ერთობ მოულოდნელად გამოაცხადა. ახალი პრეზიდენტის კანდიდატურა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ესპანური სააგენტოები იუწყებიან, რომ პოსტისთვის ალაბთ ორი პიროვნება — საბინო ლოპესი და რომან როდრიგესი იბრძოლებენ. პირველს კლუბში მუშაობის გამოცდილება აქვს.**

**იტალიურ** „სამპდორიას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — ჯანფრანკო ბელოტო. „ნედო სონეტის" თანამდებობა მას შემდეგ გამოთავისუფლდა, რაც სეზონის უხეირო სტარტის შემდეგ ჯიჯი კანი დაითხოვეს. კლუბის დირექცია აცხადებდა, სერია A-ში უნდა დავიბრუნოთ ადგილიო, „სამპდორიამ" კი ჩატარებულ ოთხ ტურში ჯერ მხოლოდ ქულა მოიპოვა.

**რუმინელმა საბინ ილიემ ბუქარესტის „დინამოსთან" გააფორმა კონტრაქტი. აღსანიშნავია, რომ „კოტბუსიდან" იგი რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს და თავისუფალი აგენტის სტატუსი მიანიჭეს. 26 წლის ფეხბურთელი მას შემდეგ ახალ კლუბს ეძებდა და საბოლოოდ სამშობლოში დაბრუნდა. მან ოთხწლიანი შეთანხმება გააფორმა და წელიწადში 600 ათას გერმანულ მარკას მიიღებს.**

**ხორვატულმა** „ჰაიდუკმა" ავსტრალიელი ჟელკო სუზა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ეს ფეხბურთელი წარმოშობით ხორვატია და ავსტრალიის მოქალაქეობა შემდეგ მიიღო. სპლიტში ჩასვლამდე იგი ავსტრალიის საფეხბურთო ლიგის კლუბ „რუს მელბურნში" თამაშობდა. „ჰაიდუკმა" ახალი ფეხბურთელის უეფას განაცხადში შეყვანა ვერ მოასწრო, ამიტომ სუზა სპლიტელებს მხოლოდ ხორვატიის ჩემპიონატში დაეხმარება.

## ბრაზილია

მე-12 ტური: გოიასი — კორინთიანსი 2:3; ჟუვენტუდე — ფლამენგო 2:1; სანტოსი — ამერიკა 3:0; პალმეირასი — სპორტ რესიფე 3:0; ვასკუ და გამა — ბაია 0:1; ატლეტიკო მინეირო — გამა 2:0; ატლეტიკო პარანენსე — პორტუგეზა 3:1; გრემიო — კურიტიბა 2:0; სანტა კრუზი — სან კაეტანო 0:1; ბოტაფოგო რიბეირაო — ბოტაფოგო 0:2; სან პაულუ — პარანა 1:3; გუარანი — კრუზეირო 2:0; ფლუმინენსე — პონტე პრეტა 2:0; ვიტორია — ინტერნასიონალი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 12 | 9 | 1 | 2 | 25:11 | 28 |
| სან კაეტანო | 12 | 7 | 4 | 1 | 20:13 | 25 |
| ატლ. მინეირო | 11 | 7 | 2 | 2 | 20:8 | 23 |
| ფლუმინენსე | 11 | 6 | 4 | 1 | 19:13 | 22 |
| ბაია | 11 | 6 | 1 | 4 | 18:11 | 19 |
| პარანა | 11 | 6 | 0 | 5 | 17:14 | 18 |
| სან პაულუ | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 18 |
| ბოტაფოგო | 11 | 5 | 3 | 3 | 17:12 | 18 |
| გოიასი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:11 | 17 |
| ატლ. პარანენსე | 11 | 5 | 2 | 4 | 15:13 | 17 |
| გრემიო | 11 | 5 | 2 | 4 | 14:12 | 17 |
| ინტერნასიონალი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:15 | 17 |
| პორტუგეზა | 11 | 5 | 1 | 5 | 12:13 | 16 |
| კორინთიანსი | 11 | 4 | 4 | 3 | 21:20 | 16 |
| პონტე პრეტა | 11 | 4 | 4 | 3 | 17:21 | 16 |
| სანტოსი | 12 | 3 | 7 | 2 | 14:11 | 16 |
| კურიტიბა | 11 | 4 | 2 | 5 | 14:17 | 14 |
| ვიტორია | 11 | 3 | 4 | 4 | 12:16 | 13 |
| კრუზეირო | 11 | 3 | 3 | 5 | 15:16 | 12 |
| ფლამენგო | 12 | 3 | 3 | 6 | 9:14 | 12 |
| ვასკუ და გამა | 11 | 2 | 6 | 3 | 19:12 | 12 |
| ჟუვენტუდე | 11 | 2 | 6 | 3 | 13:15 | 12 |
| სანტა კრუზი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:22 | 9 |
| გუარანი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:22 | 9 |
| სპორტ რესიფე | 11 | 2 | 2 | 7 | 11:22 | 8 |
| ამერიკა | 11 | 1 | 5 | 5 | 12:18 | 8 |
| გამა | 11 | 1 | 5 | 5 | 10:16 | 8 |
| ბოტაფოგო რიბ. | 11 | 1 | 2 | 8 | 8:21 | 5 |

## არგენტინა

მე-6 ტური: ჩაკარიტა ხუნიორსი — ბანფილდი 2:0; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 1:1; ლანუსი — ნუევა ჩიკაგო 1:1; არგენტინოს ხუნიორსი — ესტუდიანტესი 0:4; რასინგი — ბელგრანო 0:0; როსარიო სენტრალი — უნიონი 1:0; ტალერესი — ურაკანი 3:3; სან ლორენსო — ნიუელს ოლდ ბოიზი 3:1; კოლონი — ინდეპენდიენტე 1:0; ხიმნასია (ლა პლატა) — ველეს სარსფილდი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 14 |
| რასინგი | 6 | 4 | 2 | 0 | 8:3 | 14 |
| ლანუსი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| ბელგრანო | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| როსარიო | 6 | 4 | 0 | 2 | 8:3 | 12 |
| კოლონი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 12 |
| ხიმნასია | 6 | 3 | 3 | 0 | 11:8 | 12 |
| არგ. ხუნიორსი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:8 | 12 |
| რივერ პლეიტი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 11 |
| ჩაკარიტა | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 8 |
| ოლდ ბოიზი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:7 | 7 |
| ბოკა ხუნიორსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | 6 |
| ესტუდიანტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:12 | 5 |
| ნუევა ჩიკაგო | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| უნიონი | 6 | 0 | 2 | 4 | 5:10 | 2 |
| ველესი | 6 | 0 | 2 | 4 | 7:13 | 2 |
| ურაკანი | 6 | 0 | 2 | 4 | 8:18 | 2 |
| ტალერესი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | 1 |
| ბანფილდი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:15 | 1 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

რესტორანი მზიანი ღამე



განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე
* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით
კ უ ტ უ ზ ო ვ ი ს ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერით 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

სამშაბათს და შაბათს კოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკევს: კოეფიციენტებს პლუს ექვსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა კოეფიციენტებითურთ.

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

### გერმანია. ბუნდესლიგა. VII ტური.

**22 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | შტუტგარტი-ჰანზა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 18.30 | 002 | კოტბუსი-ბაიერნი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.30 | 003 | ფრაიბურგი-შალკე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 004 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-ვერდერი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 18.30 | 006 | კიოლნი-ნიურნბერგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ჰერტა | 1,85 | 3,0 | 4,0 |

**23 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | მიუნხენი-ვოლფსბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.30 | 009 | მიონხენგლადბახი-ზტ. პაული | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VII ტური.

**21 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 010 | უნტერჰახინგი-როიტლინგენი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 22.00 | 011 | ჰანოვერი-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 012 | კარლსრუე-არმინია | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**22 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 013 | მაინცი-ალენი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 18.00 | 014 | ბოხუმი-ბაბელსბერგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**23 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | ალემანია-ვალდჰოფი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 016 | უნიონი-შვაინფურტი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-ზაარბრიუკენი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**24 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 018 | დუისბურგი-აინტრახტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). IX ტური.

**21 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 020 | მიუნსტერი-პადერბორნი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**22 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 021 | ბრაუნშვაიგი-დრეზდენი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 022 | ბრაუნშვაიგი-დრეზდენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 17.00 | 023 | აუე-ქემნიცი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.00 | 024 | კილი-ფორტუნა | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 17.00 | 025 | ლევერკუზენი (მ.)-ლიუბეკი | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 17.00 | 026 | ესენი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 17.00 | 027 | ფერლი-მაგდებურგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 17.00 | 028 | ვატენშაიდი-ვერდერი (მ.) | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). IX ტური.

**21 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 030 | ტრირი-ბურგჰაუზენი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**22 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 031 | ფულდა-ერფურტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 032 | ანსბახი-ვეჰენი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 18.00 | 033 | ოფენბახი-კიკერსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 034 | ელვერსბერგი-ჰოფენჰაიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.00 | 035 | აალენი-დარმშტადი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 18.00 | 036 | მანჰაიმი-ბაიერნი (მ.) | 1,85 | 3,2 | 3,6 |

**23 სექტემბერი.**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 037 | შტუტგარტი(მ.)-ლაუტერნი(მ.) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 038 | ზიგენი-რეგენსბურგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

უფრო მეტ ინტერესს იწვევდა ჯგუფის მეორე თამაში ხორვატიასა და ავსტრალიას შორის. მეტოქეებს თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდათ მეოთხედფინალში გასასვლელად. ამჯერად უფრო ძლიერნი მწვანე კონტინენტელი ყმაწვილები აღმოჩნდნენ, მათ ევროპელებს 4:0 მოუგეს. გახარებული იყო ავსტრალიელთა მწვრთნელი ანჯე პოსტესოღლუ: „ოთხივე გოლი ლამაზი, თამაში კი კარგი ფილმივით საცქერი გამოდგა. ძალიან მომეწონა ჩემი ბიჭების თამაში, ისინი შექებას იმსახურებენ". ცხადია, საპირისპირო განწყობაზე იყო ხორვატთა თავკაცი მარტინ ნოვოსელაკი, რომელმაც მარცხი ასე ახსნა: „პირველი გოლი რომ გავუშვით, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩემი ფეხბურთელების ასაკი ორი წლით შემცირდა. რაც თამაშის წინ დავგეგმეთ, აღარ გამოსდიოდათ, ბავშვებივით დაიბნენ". რაღა გავაგრძელოთ, ხორვატია ჯგუფში ჩარჩა, ავსტრალია კი მეოთხედფინალში გავიდა.

მსგავსი ვითარება შეიქმნა B ჯგუფშიც, სადაც უკვე მეოთხედფინალში მოხვედრილი ნიგერია ამერიკას ხვდებოდა და დაამარცხა. ამრიგად, აუტსაიდერებმა ქულაც ვერ აიღეს, აფრიკელებმა კი, მაქსიმუმი შესძლეს.

ერთმანეთში არკვევდნენ ურთიერთობას იაპონია და საფრანგეთი. გამარჯვებული მეოთხედფინალში გადიოდა. ეს საფრანგეთმა შეძლო, რომელმაც მეტოქე 5:1 შემუსრა. ფლორენ სინამა-პონგოლემ ჰეთ თრიქი შეასრულა და მატჩის გმირადაც ალალად აღიარეს.

**ნიკა შუბლაძე**

## ბარას ქვიშაზე თუ ფეხშიშველმა...

**რიო დე ჟანეიროს** შესახებ ვის არ სმენია, მაგრამ ერთი იქაური პლაჟი, ბარა და ტიჟუკა რომ ჰქვია, ალბათ, თითო-ოროლამ თუ იცოდა.



ბოლო დღეებია, ბარა და ტიჟუკა რივალდოს სავარჯიშო ადგილად აურჩევია და ეს პლაჟიც ჩვენი თვალთახედვის არეში სწორედ ამიტომ მოხვდა.

ერთხელაც აღვნიშნოთ — რივალდო პლაჟზე იმიტომ კი არ დაიარება, რისთვისაც სხვა ადამიანები, არამედ სავარჯიშოდ. ეგებ იკითხოთ, „ბარსელონას" საწვრთნელი ბაზა რად არ აირჩია ამისთვისო. ეს ნიშნავს, რომ არ გცოდნიათ: ამასწინდელი არგენტინა — ბრაზილიის მატჩისას რივალდო დაშავდა და რაკი ეს სამწუხარო ამბავი სანაკრებო მატჩისას მოხდა, მის მტკივან ფეხს ბრაზილიელი ექიმები წამლობენ.

ფოტოზე ჩანს, რომ მშობლიურ ქვიშაზე ფეხშიშველი რივალდო კარგად დარბის. ეს გვაფიქრებინებს, რომ ის სულ მალე ევროპული სტადიონების მწვანე მინდორზეც კარგად გაიქცევა. გაიქცევა და გაიტანს ჯადოსნურ მაკრატელებსა და საჯარიმოებს, გააკეთებს მახვილგონივრულ პასებს და საზოგადოდ ყველაფერ იმას, რითაც რივალდო არის რივალდო — ოფიციალურად მსოფლიოს ყოფილი, ბევრისთვის კი ახლაც საუკეთესო ფეხბურთელი.

და მისი ფოტოც სწორედ იმიტომ დავბეჭდეთ, რომ რივალდოა, თორემ პლაჟზე, ბარა და ტიჟუკაზე თუ სხვაგან, ვის არ ურბენია...

# ლაბაძის ნადავლი: ორი ამერიკული სკალპი

**შანხაი (ჩინეთი)**
**ჰაინეკენის თასი.**
**ჰარდი. საპრიზო 400 ათასი**

**დღეს,** როდესაც ნადავლად ორი ამერიკული სკალპი აქვს, ირაკლი ლაბაძე შანხაიში ორ მატჩს შორის პარალელებს ავლებს: „დღეს უკეთესად ვიღებდი მეტოქის მოწოდებებს, მეტ შემოვლებულებს ვაკეთებდი, მაგრამ აგასისთან აშკარად უკეთ ვაწვდიდი" — თქვა ლაბაძემ ჯასტინ გიმელსტობის ძლევის შემდეგ. აგასისთან შეხვედრისას ქართველმა ყურადღება საკუთარ მოწოდებებზე გაამახვილა და დედამიწის ზურგზე საუკეთესო მიმღები 13 ეისით შეარცხვინა. გიმელსტობთან ქართველს ოდენ ოთხი ეისი მოუგროვდა, სამაგიეროდ, მეტოქე შემოვლებულებით აიკლო და, რაც მთავარია, გადამწყვეტ ეპიზოდებში გამოიჩინა ნერვების სიმტკიცე.

სიმშვიდე კი სწორედ რომ სჭირდებოდა ლაბაძეს, რადგან პირველი სეტი უდაძაბულეს ბრძოლაში, ტაიბრეიკში წააგო 6:7 (2:7) და ამის შემდეგ შესაძლებელი იყო, საკუთარი თავის რწმენა დაეკარგა, თუმც, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ქართველმა შეძლო დეფიციტის აღმოფხვრა. მეორე სეტის ბოლოს ლაბაძე 4:5 აგებდა და მაშინ, როცა მარცხს რამდენიმე შეცდომა აშორებდა, ქართველმა მეტოქის დაწიოკება დაიწყო. მისი ზედიზედ ოთხი შემოვლებულით ანგარიში გათანაბრდა — 5:5.

ლაბაძემ აგასისთან ოთხი მატჩპოინტი იხსნა და ამჯერადაც მოუხდა მცირე გმირობის ჩადენა. ანგარიშის 5:5 გათანაბრების შემდეგ ქართველმა და ამერიკელმა თითო გეიმი გაცვალეს და საქმე საჩოგბურთო დამატებით დრომდე, ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც გიმელსტობი 3:1 დაწინაურდა. აქ ლაბაძემ კვლავ აჯობა საკუთარ თავს, შესანიშნავად ათამაშდა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. კორტზე მხოლოდ ქართველი დარჩა და ამერიკელის იქ ყოფნას აზრი დაუკარგა. ლაბაძემ ზედიზედ ექვსი გათამაშება მოიგო და სეტში გამარჯვებაც მას დარჩა.

გიმელსტობი ველარც მესამე სეტში მოვიდა გონს და გადამწყვეტ ხელშიც ყველაფერი ადრევე გაირკვა. ლაბაძემ ორჯერ აართვა მოწოდება გიმელსტობს და ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ამერიკელმა უიმედოდ, 2:6 დათმო მესამე სეტი და ახლა ჩინეთიდან შინ დაბრუნების თადარიგითაა გართული. ქართველი კი გავიდა მეოთხედფინალში, რითაც თითქმის 11 ათასი დოლარი გააკეთა და მოიპოვა რვა სარეიტინგო ქულა, რაც მას გვარიანად წინ წასწევს კლაისიფიკაციაში. მეოთხედფინალში ქართველი მძლავრ დანიელ მომწოდებელ კენეტ კარლსენს შეხვდება. ვითომ შეუძლებელია მისი ძლევა?



არანჩა სანჩეს-ვიკარიო ტოკიოელებში პოპულარულია

REUTERS ტოკიოდან

**პირველი წრე. ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) — ნევილ გუდვილი (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (7:4); ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — პარადორნ სრიჩაპჰანი (ტაილანდი) 7:6 (8:6), 3:6, 6:4; ანდრე სა (ბრაზილია) — რობი კოენინგი (სამხრეთ აფრიკა) 6:3, 3:6, 6:2**
**მეორე წრე. მიხაელ კრატოხვილი (3, შვეიცარია) — გეორგ ბაშტლი (შვეიცარია) 4:6, 6:2, 6:2; ტაკაპირო ტერაჩი (იაპონია) — მაიკლ ტებატი (ავსტრალია) 6:7 (5:7), 6:4, 6:1; ედვინ კემპესი (ჰოლანდია) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6 (7:3), 6:7 (1:7), 6:3; ირაკლი ლაბაძე (საქართველო) — გიმელსტობი 6:7 (2:7), 7:6 (7:3), 6:2; რაინერ შუტლერი (2, გერმანია) — ჰოიბერგერი 6:3, 6:4; კენეტ კარლსენი (დანია) — სა 6:4, 6:3; ფრანსისკო კლავეტი (4, ესპანეთი) — ჰუნგ ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:4, 6:2; ნოამ ბეჰრი (ისრაელი) — იონ-ილ იუნი (სამხრეთ კორეა) 7:6 (7:4), 6:7 (6:8), 6:2**

**ტოკიო (იაპონია)**
**TOYOTA PRINCESS CUP**
**ჰარდი. საპრიზო 565 ათასი**

ტოკიოს ქალთა ტურნირზე, ტოიოტას თასზე, მეჩოგნეთათვის გამოყოფილი ნახევარ მილიონზე მეტი საპრიზო ფონდი თითქოს საკმარისი მიზეზი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ამომავალი მზის ქვეყანას ქალთა ჩოგბურთში გამორჩეულები სწვეოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ამ ორშაბათს იაპონელებს ერთბაშად სამმა ამერიკელმა გოგონამ — სერენა უილიამსმა (ტურნირის შარშან მომგები), ჯენიფერ კაპრიატიმ და ემი ფრეზერმა — შეუთვალა მტკიცე უარი, აქაოდა, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ამბები ხდება და ჩოგბურთის ქომაგებისთვის სად გვცხელაო. ორგანიზატორების ბოლო იმედი მონიკა სელეში იყო, თუმც იაპონელებს აქაც არ გაუმართლათ. მონიკა თანამემამულეების ფეხის ხმას აჰყვა და სამშაბათს მანაც უარი სტკიცა ტოკიოს.

მოწინავე ოთხეულს გარეშე დარჩენილ ტურნირზე კი, როგორც მოსალოდნელი იყო, გადაბერებული ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო გაბატონდა და უკვე მოასწრო ორი მსხვერპლის გადაყლაპვა. ახალგაზრდობაში საფრანგეთის ღია პირველობის სამჯერ მომგებმა ესპანელმა პირველ წრეში ხელის ერთი გაქნევით, სულ 50 წუთში, გააგდო ევი დომინიკოვიჩი და მეორეში სილვია ტალაიას შეება. ამ უკანასკნელმა ბევრი კი არბენინა მხცოვანი მეტოქე, მეორე სეტი ტაიბრეიკში მოუგო და მესამეშიც იქამდე მიიყვანა საქმე, მაგრამ იქ სანჩეს-ვიკარიოს გამოცდილმა მარჯვენამ თავისი გააკეთა.

**პირველი წრე. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:1, 6:3; ლეიზელ ჰუბერი (სამხრეთ აფრიკა) — იროდა ტულიაგანოვა (6, უზბეკეთი) 6:4, 6:1; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — მარლენ ვაინგარტნერი (გერმანია) 6:1, 6:0; სილვია ტალაია (ხორვატია) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 4:6, 7:6 (7:2), 6:3; აი სუგიამა (იაპონია) — კრისტინა ტორენს ვალერო (8, ესპანეთი)**
**მეორე წრე. სანჩეს-ვიკარიო — ტალაია 6:4, 6:7 (4:7), 7:6 (9:7); ელენა დოკიჩი (3, იუგოსლავია) — ლინა კრასნორუცკაია (რუსეთი) 6:4, 6:4; ტამარინე ტანასუგარნი (7, ტაილანდი) — ნიკოლ პრატი 6:3, 3:6, 6:2; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — მიჰო საეკი (იაპონია) 6:2, 3:6, 6:2; მეილინ ტუ (აშშ) — ჰუბერი 6:7 (6:8), 6:1, 7:5**

**კვებეკი (კანადა)**
**ბელ ჩელენჯი. ჰარდი**
**საპრიზო 170 ათასი**

**პირველი წრე. ლილია ოსტერლო (7, აშშ) — სონია ჯეიასლანი (კანადა) 7:6 (7:5), 6:2; ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — დიანა სრებროვიჩი (კანადა) 6:3, 6:4; ივა მაიოლი (4, ხორვატია) — მელანი მორისი (კანადა) 7:5, 6:4; ნატალი დეში (6, საფრანგეთი) — რენატა კოლბოვიჩი (კანადა) 6:1, 6:2; ჯენიფერ ჰოპკინსი (5, აშშ) — ელს კალენსი (ბელგია) 6:4, 7:6 (7:2)**

**ივანე ქობიაშვილი**



**ვუელტა 2001**

# ვინ მოიგო? ბანესტომ, ბატონო! პანტანი კი ცარიელი სახელიღაა

გრანდიოზული! ბრწყინვალე! და კიდევ მრავალი ასეთი სიტყვა შეიძლება ვუძღვნათ „ვუელტას" მეთერთმეტე ეტაპს, რომელიც ხოსე-მარია ხიმენესმა მოიგო.

პირდაპირ საკვირველია, როგორც კი გზად მთები შეხვდება პელოტონს, მაშინვე „ბანესტო" გამოდის ავანსცენაზე და ყველა ეტაპიც სწორედ მისი გამარჯვებით სრულდება. ამჯერად „კელმემაც" იხეირა, რადგან მისი წევრი ოსკარ სევილია საერთო ჩათვლის სათავეში მოექცა, ოქროსფერი მაისურის წინა მფლობელმა ხოსება ბელოკიმ კი ჩემპიონობის ყველა შანსი დაკარგა.

უკვე სტარტის წინ იგრძნობოდა გარკვეული დაძაბულობა, რომ იტყვიან, ჰაერში დენთის სუნი ტრიალებდა. ამიტომაც, როცა მერვე კილომეტრზე 17 მრბოლი გაექცა პელოტონს, ეს მოულოდნელობა ნამდვილად არ ყოფილა. ამ ჯგუფმა დღის პირველი დაბრკოლება მეორე კატეგორიის სიძნელის მთა ეინი დანარჩენებზე დაახლოებით ერთი წუთით ადრე დალაშქრა.

თუმცა მომდევნო მთის, პირველი კატეგორიის სიძნელე რომეუს ძირში პელოტონი ლტოლვილებს დაეწია. რამდენიმე წუთში კი ახალი შეტევა განხორციელდა. მწვერვალამდე 9 კილომეტრით ადრე კარდენასმა, კუესტამ, სიმონიმ და გარმენდიამ სცადეს ბედი და დაღმართზე პელოტონზე 2 წუთითა და 32 წამით ადრეც იწყეს დაშვება. მათმა უპირატესობამ კიდევ 20 კილომეტრის გავლის შემდეგ 3 წუთს ოდნავ გადააჭარბა და პუიმორენსის აღმართიც დაიწყო.

სწორედ აქედან მოყოლებული ჩაუდგა „ბანესტო" მთავარ ჯგუფს სათავეში და ფინიშამდე 63 კილომეტრით ადრე მოწინავე ოთხეულთან ჩამორჩენა ორ წუთამდეც დაიყვანა. პუიმორენსს პირველი კატეგორიის პორტ ენვალირა მოჰყვა, რამაც ოქროსფერმაისურიანი ბელოკი საბოლოოდ გატეხა. ბანესტოელების აჩქარებას „ტურის" მესამეადგილოსანმა ველარ გაუძლო და მწვერვალს პელოტონის მოწინავეებზე, რომლებიც მოიერიშე ოთხეულს დასწეოდნენ, 3 წუთითა და 48 წამით გვიან მიატანა.

ენვალირადან დაშვება ბელოკისთვის დრამატული გამოდგა. მას გულისრევა დაეწყო და აცრემლებულმა კიდევ ბევრი წუთები დათმო. მიუხედავად თანაგუნდელების გამხნევებისა, იგი მაინც სრულმა უიმედობამ მოიცვა და ფინიშის ხაზი 19 წუთითა და 55 წამით გვიან გადაკვეთა, ვიდრე ხიმენესმა.

რბოლის სათავეში ოციოდე სპორტსმენი ჩადგა, რომლებმაც შეტევას შეტევა მიაყოლეს. მთავარი მოიერიშე ხიმენესი გამოდგა, რომელმაც ორდინოს (პირველი კატეგორიის სიძნელე) ძირშივე მიატოვა დანარჩენები და მალევე მიიღო უპირატესობა. მისი თანაგუნდელები — მერკადო და აიტორ ოსა ხიმენესის დაწევის მსურველებს აკონტროლებდნენ და ყველა კონტრიერიშის ჩაშლაც მოახერხეს.

დღის ბოლო დაბრკოლების, პალის მთის, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სიძნელისა იყო, მისადგომებთან ხიმენესი უკვე ორ წუთამდე იგებდა და ამ უპირატესობიდან ოდენ 16 წამიღა დათმო.



REUTERS პალიდან

ოსკარ სევილია ამ პატარა ჯგუფსაც ლიდერობს და „ვუელტასაც"

ხოსე-მარია ხიმენესის და „ბანესტოს" ტრიუმფმა ლამის ყველას გადაავიწყა, მარკო პანტანიმ ტურნირი რომ მიატოვა. „მეკობრე" მხოლოდ სახელიღააო, წერს ესპანური პრესა და ამაში სიმართლის დიდი ნაწილია. პანტანიმ ფორმა ვერაფრით აღიდგინა და ამ ეტაპის დაწყებამდე ლიდერს 1 საათზე მეტით ჩამორჩებოდა. ხოლო პალის მთის ბოლომდე რომ ერბოლა, ალბათ, მინიმუმ ერთ საათს კიდევ მიუმატებდა თავის ჩამორჩენას და მანაც, ეტყობა, სულ მთლად შერცხვენას, გაცლა ამჯობინა. ძნელი სათქმელია, შეძლებს კი 1998 წლის „ჯიროსა" და „ტურის" მომგები ადრინდელი სიძლიერის დაბრუნებას, მაგრამ „მერკატონე უნოს" თავკაცებს ამისი უწინდელივით აღარ სჯერათ და გუნდის ახალი ლიდერის ძებნაც დაუწყიათ.

**გაგი გურული**

**მეთერთმეტე ეტაპი**

ალპი — პალი (ანდორა), 154,2 კმ

1. ხოსე-მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) 4სთ 08წთ 28წმ
2. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კოსტი) +1წთ 44წმ
3. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო)
4. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი)
5. აიტორ ოსა (ესპანეთი, ბანესტო)
6. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე)
7. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) ყველას იგივე დრო
8. კლაუს მიოლერი (დანია, მილანეზა) +1წთ 49
9. ინიგო კუესტა (ესპანეთი, კოფიდისი) +2წთ 10
10. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 31

**საერთო ჩათვლა**

1. ოსკარ სევილია (ესპანეთი, კელმე) 36სთ 56წთ 21წმ
2. ანხელ კასერო (ესპანეთი, ფესტინა) +37
3. ხუან მიგელ მერკადო (ესპანეთი, ბანესტო) +1წთ 46
4. ლევი ლეფჰაიმერი (აშშ, პოსტალი) +2წთ 27
5. რობერტო ერასი (ესპანეთი, პოსტალი) +2წთ 33

# ოლიმპიადის პროგრამული რევოლუცია
## ქალთა ექსპანსია გარდაუვალია

**1896 წლიდან** თანამედროვე ოლიმპიური თამაშების პროგრამამ არაერთხელ იცვალა სახე. თუ თავდაპირველად ოლიმპიადების ოფიციალურ პროგრამაში დღეისთვის უკვე ეგზოტიკური სახეობებისათვის კარი ღია იყო, თანდათანობით მათ შევიწროება განიცადეს. მერე და მერე კი ყველა მათი მცდელობა, უკან დაბრუნებულიყვნენ, უშედეგოდ მთავრდებოდა. მათგან განსხვავებით, ამგვარი პრობლემის წინაშე არ დამდგარან სპორტის ისეთი კლასიკური სახეობები, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, ფარიკაობა და კიდევ ბევრი სხვა, რომლის გარეშეც დღეს ოლიმპიადები წარმოუდგენელია.

დროთა განმავლობაში მატულობდა მონაწილე ქვეყანათა რიცხვიც. ოლიმპიადების ოფიციალურ პროგრამაში მოხვედრის სურვილი კი სულ უფრო და უფრო მეტ სახეობას უჩნდებოდა. ზოგმა საწადელსაც მიაღწია. ამის გამო კი, ბუნებრივია, იზრდებოდა როგორც ასპარეზობათა ხანგრძლივობა, ისე მის მონაწილეთა რაოდენობა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ოლიმპიური მოძრაობა გიგანტიზმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით ხუან ანტონიო სამარანჩის ოლიმპიური მოძრაობის სათავეში ყოფნისას შეიმჩნეოდა. ზაფხულში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპრეზიდენტო არჩევნებში ბელგიელი ჟაკ როგის გამარჯვების შემდეგ ამ უკანასკნელმა არაერთი ცვლილება გაატარა, თუმც ის, რაც ამ ორიოდე დღის წინ ლოზანაში, სოკ-ის შტაბბინაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მოხდა, რევოლუციას უფრო ჰგავს. წინა წლებისგან განსხვავებით, ოლიმპიზმის მამებმა პირველად თქვეს უარი ოლიმპიური პროგრამის გაზრდაზე. მეტიც, ათენის 2004 წლის ოლიმპიადა, სიდნეისგან განსხვავებით, შეკვეცილი იქნება. თუ სიდნეიში 10655 სპორტსმენმა ერთმანეთში მედლების 300 კომპლექტი გაითამაშა, ათენში 299 დისციპლინაში 10508 ათლეტი იასპარეზებს. სხვაობა თვალში საცემია. სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე, რომელიც ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ცვლილებებს შეეხო, სხვა ბევრი საინტერესოც მოხდა. ამ მხრივ აღსანიშნავია წინადადება, რომელიც ათენის ოლიმპიადაში ქალ სპორტსმენთა რაოდენობის გაზრდას ითვალისწინებს. სოკ-შიც იმსჯელეს და დაადგინეს, რომ ამის განხორციელება მხოლოდ ვაჟ სპორტსმენთა ხარჯზე შეიძლება. ამიტომაც გადაწყვიტეს, ვაჟთა ასპარეზობებიდან რამდენიმე დისციპლინა ამოაგდონ. ამ მხრივ ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ჭიდაობა. სოკ-ის მოხელეებმა ორივე სტილით (თავისუფალი და ბერძნულ-რომაული) მოჭიდავეებს ორი წონითი კატეგორია ჩამოაჭრეს და მათ ნაცვლად, პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, ქალ მოჭიდავეებს უხმეს. ვაჟების მიერ იძულებით გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს ქალ მოჭიდავეთა ოთხი წონითი კატეგორია. ასე რომ, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქალთა ძიძგილაობის ხილვაც შეგვეძლება. სპორტის 28 სახეობიდან ქალებისთვის ჯერჯერობით აულებელი რჩება კრივი და ბეისბოლი.

სეკვესტრი მოკრივეებსაც შეეხოთ, მაგრამ ოლიმპიურ რინგზე სუსტი სქესის წარმომადგენლებს როდი უხმეს, ამიერიდან მოკრივეებს 12-ის ნაცვლად 11 წონით კატეგორიაში მოუწევთ რინგზე ასვლა. ეს იმას ნიშნავს, 310 მოკრივის ნაცვლად, როგორც ეს სიდნეიში იყო, ათენის ოლიმპიადაზე 286 სპორტსმენი იასპარეზებს.

საბერძნეთის დედაქალაქში ასპარეზობაზე უარი ეთქვათ საწყლოსნო-სათხილამურო სპორტის წარმომადგენლებსაც. უარით გაისტუმრეს ჩოგბურთისა და მაგიდის ჩოგბურთის წარმომადგენლებიც. მართალია, ორივე სახეობა ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამჯერად მათ საკუთარი ძალების შერეულ წყვილებში მოსინჯვა სურდათ. ოლიმპიურ სახეობის დისციპლინათა გაზრდის მოთხოვნით გამოვიდა ცურვის საერთაშორისო ფედერაციაც (ფინა). 50 მეტრზე გულაღმა, ბრასისა და ბატერფლაით ცურვის, ასევე ღია წყლის სახეობათა მეშვეობით მათ ისედაც გადატვირთული პროგრამის ახალი დისციპლინებით გაზრდა სურდათ, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მეტიც, სოკ-მა ფინა-ს კვოტაც დაუწესა. კვოტა დაუწესეს მძლეოსნებსაც. სპორტის ამ სახეობებში ხშირად ხდებოდა ისე, რომ მონაწილე სპორტსმენთა ისედაც მაქსიმალური რაოდენობა დაშვებულ ციფრს აჭარბებდა. მაგალითად, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე 1273 ნაცვლად 1448 მოცურავე ასპარეზობდა. ამიერიდან მათ მკაცრად განსაზღვრული ციფრი დაუწესეს (1300). იგივე მდგომარეობაა მძლეოსნობაშიც. გასულ ოლიმპიადაზე 2000-ის ნაცვლად სარბიელზე 2146 მძლეოსანი ვიხილეთ. ათენის ოლიმპიადაზე კი მძლეოსნობის მამებს, ისევე როგორც ეს სიდნეიში იყო, თავდაპირველად განსაზღვრული 2000 სპორტსმენის სარბიელზე გაყვანა შეეძლებათ. კვოტა შეეხებათ საცხენოსნო ასპარეზობებსაც. მათგან განსხვავებით, ხელშეუხებელი დარჩა კალათბურთი და ველოსპორტი. კრახით დასრულდა ბეისბოლის ფედერაციის მცდელობა, მონაწილე გუნდების რაოდენობა 8-დან 12-მდე გაეზარდა. ბეისბოლისტებისგან განსხვავებით, ნაწილობრივ გაუმართლათ ქალ ფეხბურთელებს. ფიფა-ს მოთხოვნას, ქალთა საფეხბურთო ტურნირზე დაეშვათ ოთხი გუნდი, უარი ეთქვა, თუმცა სოკ-ელმა მოხელეებმა, სულ უარსაც ვერ გეტყვით და უფლებას გაძლევთ, ქალთა ნაკრები გუნდები ორით გაზარდოთო. ასე რომ, მომავალში რვის ნაცვლად ათი ნაკრები გუნდის ასპარეზობებს ვიხილავთ საფეხბურთო სტადიონებზე. ორი ნაკრები გუნდით გამდიდრდა ქალ წყალბურთელთა ტურნირიც. სავსებით შესაძლებელია, ქალ მოფარიკავეთა დისციპლინებს ხმლით ასპარეზობაც შეემატოს, თუმც ამისთის საჭიროა ვაჟთა რომელიმე დისციპლინის პროგრამიდან ამოგდება. მართალია, სოკ-ის ყველა ქმედება იქითკენაა მიმართული, რომ ასპარეზობათა და სპორტსმენთა რაოდენობა მაქსიმალურად შეამციროს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ოლიმპიზმის მამები ყველანაირად ცდილობენ, ქალ ოლიმპიელთა რაოდენობა ვაჟებისას ერთი სიტყვით, ოლიმპიადებზე ქალთა ექსპანსია გარდაუვალია.

სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით უზომოდ გახარებულები უნდა იყვნენ ბაგირის გადამძალველთა საერთაშორისო ფედერაციაში. მათ იმდენი მოახერხეს, რომ სოკ-ს სპორტის ამ სახეობის აღიარება დასტყუეს. მართალია, აღიარება ოლიმპიადების პროგრამის ნაწილად გახდომას არ ნიშნავს, მაგრამ დღეის იქით მათ უკვე ოფიციალურად შეეძლებათ ასეთი პატივისთვის იბრძოლონ.

სხვათა შორის, ბაგირის გადამძალველთა ასპარეზობები უცხო ხილი არ გახლავთ ოლიმპიური თამაშებისთვის. სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები 1920 წლის ანტვერპენის ოლიმპიადამდე ამგვარ ღონისძიებებს არ აკლდებოდნენ.

მათგან განსხვავებით, ოლიმპიზმის მამებისგან აღიარება ვერ მოიპოვა ბოდიბილდინგის ფედერაციამ. ეს არცაა გასაკვირი. სპორტის ისეთი სახეობა, როგორიც რაგბია, აგერ უკვე რამდენი ხანია ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ პროგრამაში შეღწევას ლამობს. თუმცა რაგბის საერთაშორისო საბჭო ფარ-ხმალს არ ყრის და სჯერა, რომ ამას პეკინის 2008 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის შეძლებს. თუ მორაგბეთა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ჩვენც ვიხეირებთ. ვფიქრობთ, ჩვენს ბორჯღალოსნებს არ გაუჭირდებათ ოლიმპიადაზე მონაწილეობის უფლების მოპოვება.

**გიგა გურასაშვილი**



ათენის ოლიმპიადაზე ქალთა ჭიდაობასაც ვიხილავთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრივალოსანი



ფელიქს ტრინიდადი

**საშუალო** წონაში მსოფლიოს უდავო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, WBA-ს ქამრის მფლობელი ფელიქს ტრინიდადი და WBC-სა IBF-ის ქამრების მფლობელი ბერნანდ ჰოპკინსი, ახალი გეგმის თანახმად 29 სექტემბერს შეებრძოლებიან ერთმანეთს. თავდაპირველი გეგმა კი, მოგეხსენებათ, ამ ბრძოლას 15 სექტემბრისთვის ითვალისწინებდა, მაგრამ 11 სექტემბერს აშშ-ში დატრიალებულ ტრაგედიათა გამო ჩაიშალა.

საგულისხმოა, რომ მოკრივეთა მისაღებად ნიუ იორკის ცნობილი „მედისონ სკვერ გარდენი" ემზადებოდა, ხოლო ეს სარბიელი ტერორისტების მიერ ჩამონგრეული მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის შენობებიდან სულ რაღაც კილომეტრშია.

„პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, გუბერნატორმა ჯორჯ პატაკიმ და მერმა რუდოლფ ჯულიანიმ ამერიკელებს სამსახურებში დაბრუნებისკენ მოუწოდეს და მეც გლოვისა და ტრაგედიის ამ უმძიმეს წუთებში, ხელმძღვანელებს ასი პროცენტით ვუჭერ მხარს" — განაცხადა პრომოუტერმა დონ კინგმა და დასძინა: „ჩვენი ბრძოლა ნიუიორკელებს ერთად შეყრის და ყველას აჩვენებს, რომ ამერიკელები ერთსულოვანნი და ამაყნი არიან".

„ძალიან სამწუხაროა, რომ მსოფლიოსთვის ჩემი უძლიერესობის ჩვენება ცოტა ხნით გადამედო. სამწუხაროა, რომ ამან ჰონორარის აღების დღეც დამიგვიანა, მაგრამ მთავარია, რომ მეცა და ჩემი გუნდიც თავს საუცხოოდ ვგრძნობთ" — განაცხადა ჰოპკინსმა.

ტერორისტთა შეტევის დღეს ჰოპკინსიცა და ტრინიდადიც ნიუ იორკში იმყოფებოდნენ.

* * *

**ნიგერიელი** აიკ იბეაბუჩი, რომელიც ერთ დროს უდიდესი საკრივო ტიტულის ნომერ პირველ მოცილედ ითვლებოდა, ახლა ლას ვეგასის სასამართლოში დაიარება. სასამართლო კი იხილავს ადამიანის გატაცებისა და გაუპატიურების საქმეებს, რომელთა მთავარი „გმირიც" სწორედ იბეაბუჩია. ოღონდ, ამჯერად განხილვა გადაიდო, რადგან ვექილმა კატრინ ვულფმა ითხოვა ასე.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი ვულფი მესამე იურისტია, რომელიც 1999 წლის ივლისის ანუ ნიგერიელის დაჭერის შემდეგ მის ინტერესებს იცავს. „პრეზიდენტად" წოდებული, ერთობ საეჭვო გონებრივი მონაცემების მქონე იბეაბუჩის იგი 20 აგვისტოს ანუ საქმის ჩაბარების შემდეგ, მხოლოდ ერთხელ შეხვედრია და ამიტომაც ითხოვა საქმის გადადება — დეტალებში უკეთ უნდა გავერკვეო. ბუნებრივია დეტალებში უკეთ გარკვევა დროს მოითხოვს.

იბეაბუჩის წინაშე ხუთი ბრალდებაა. ოთხი სექსუალურ ძალადობასთან არის დაკავშირებული, ხოლო ერთი გატაცებასთან.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად იბეაბუჩის დაცვა ვექილმა რიჩარდ რაიტმა ითავა, მაგრამ ერთი წლის წვალების შემდეგ ხელები გაასავსავა, ჩემი კლიენტი დათრგუნულია და სასამართლოში კითხვა-პასუხს ვერ გაუძლებსო. ამ განცხადების პასუხად მოსამართლე ჯოზეფ ბონავენტურმა ნიგერიელის სამედიცინო შემოწმება მოითხოვა და როდესაც შემოწმების პასუხი ნახა, ბრძანა რომ მოკრივეს სასამართლოსთვის თავის არიდების უფლება არ აქვს.

რინგზე კი იბეაბუჩის მონაგარი ასეთი გახლავთ: 20-0(15). მის მიერ დამარცხებულთა შორის არიან დავიდ ტუა და კრის ბერდი. სასამართლოს მორიგ სხდომას 13 ნოემბერს ელიან.

* * *

**მსოფლიოს** ყოფილი უპირობო ჩემპიონი, მძიმეწონოსანი ლენოქს ლუისი „ტელეგრაფის" ბრიტანულ გამოკითხვაში, რომელსაც „საუკუნის უდიდესი სპორტული მოვლენები" უწოდა, მეოთხე ადგილზე მოხვდა. რად ერგო ლუისს ამხელა პატივი? იმიტომ, რომ 1897 წლის 17 მარტის ანუ ბობ ფიტცსიმონსის მიერ ჯეიმს ჯეი კორბეტის მე-14 რაუნდში დანოკაუტების შემდეგ, იგი მსოფლიოს პირველი ბრიტანელი ჩემპიონი შეიქნა. გეხსომებათ, რომ ამას ლუისმა 1999 წლის ნოემბერში ვეტერანი ევანდერ ჰოლიფილდის დანოკაუტებით მიაღწია.

გამოკითხვაში სპორტის ექსპერტები და ისტორიკოსები მონაწილეობდნენ. მათ გასული საუკუნე ოთხ მეოთხედად დაყვეს და ბოლო მეოთხედის ხუთ უძლიერეს სპორტსმენს შორის ერთადერთი მოკრივე მოახვედრეს. პირველობა ხუთი ოლიმპიადის გამარჯვებულს, ნიჩბოსან სერ სტივ რედგრეივს ერგო, ხოლო გამარჯვებულთა სრულ ჩამონათვალს, „ტელეგრაფი" 28 სექტემბერს გამოაქვეყნებს.

* * *

**„უდაბნოს ქარიშხალმა"**, „პრინცმა" ნასიმ ჰამედმა, რომელიც აპრილში, მარკო ანტონიო ბარერასთან დამარცხებამდე ვარსკვლავთ ვარსკვლავად ითვლებოდა და ეგრეთწოდებულ ბუმბულის წონაში WBO-სა და IBF-ის ტიტულებს ფლობდა, განაცხადა, რომ 2002 წლის თებერვლამდე რინგს აღარ დაუბრუნდება.

„ბევრს ლაპარაკობდნენ ნოემბერში ჩემი შესაძლო დაბრუნების შესახებ, მაგრამ ნოემბერი, ჯერ ერთი, რომ რამადანის წმინდა თვეა და მეორეც, ამ პერიოდში ოჯახთან ყოფნა მწადია, ამიტომაც მომავალ წლამდე დასვენება ვამჯობინე. გარდა ამისა, ჩემს გადაწყვეტილებაზე ნიუ იორკში დატრიალებულმა ტრაგედიამაც იმოქმედა" — თქვა ჰამედმა.

რაც შეეხება ნოემბრის ბრძოლას. 10 ნოემბერს ჰამედი IBF-ის ყოფილ ჩემპიონს მბულელო ბოტილეს უნდა შეჯიბრებოდა. კრივი ლონდონში იყო დანიშნული.

**ტუტა სიხარულიძე**

**დასასრული.
დასაწყისი იხ. „სარბიელი"
№159, №164, №165, №171, №175**



ასეთი პეიზაჟი იშლება სოკ-ის მუზეუმიდან

# ესეც ალპები და ოლიმპიური დედაქალაქი

**ისევ** ლოზანაში ვარ, ჟენევის ტბის სანაპიროზე. ტბის გაღმიდანაც ისევ საფრანგეთის პატარა ქალაქი ევიანი მოჩანს, მის უკან ალპები, ზურგსუკან, ტერასაზე კი საბერძნეთია, როგორც ზმანება. ჰოდა, ჩვენც თითქოს სიზმარში, დავაბიჯებთ ანტიკურ და იმავდროულად თანამედროვე ხანაში.

ჰაერში ზეთისხილის სურნელია, როგორც ანტიკურ ოლიმპიაში, ოღონდ ეს სულაც არ არის ზმანება, რადგან ამ მცენარეებით საგანგებოდ გაუშენებიათ იქაურობა. იქვე ხუთი პატარა აუზი რვა ქათქათა მარმარილოს სვეტს და მრავალი ათლეტის ბრწყინვალე ქანდაკების გამოსახულება ირეკლავს, მაგრამ ის თეთრი კოლონადებიცა და საჭრეთლის დიდოსტატთა ქმნილებებიც რეალური სურათებია. რეალურია თანამედროვე ნაგებობაც, რომლის შემინული ფასადი ყოველივე ამასაც ირეკლავს, მშვიდი ჟენევის ტბის მოსარკულ ზედაპირსაც, მის გაღმა მდებარე ევიანსაც, ქალაქის ფონზე აღმართულ მარადთოვლიან მთებსაც და ღრუბლებსაც. იმ მინის ფასადს, შესასვლელს ზემოთ, ამშვენებს წარწერა: „ოლიმპიური მუზეუმი". იმდენად მშვენიერია საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმის კარმიდამო, რომ თავად შენობაში შესვლას სულაც არ ვჩქარობთ და სხვა მნახველნიც ჩვენსავით ფეხს ითრევენ. ეს არის სხვადასხვა ქვეყნის თანამედროვე სკულპტორთა შემოქმედების თავისებური გამოფენა ღია ცის ქვეშ, რომელსაც დღეს იავარქმნილ, მაგრამ ჩვენს წარმოსახვაში აღორძინებულ ანტიკურ ოლიმპიაში გადავყავართ, როგორც ლამაზ სიზმარში.

ეს ყოველივე ჰარმონიულად ერწყმის მუზეუმთან ახლომდებარე ვილებს, ტბის სანაპიროს და საერთოდ მთელს ლოზანას. მუზეუმის არქიტექტურული ჩანაფიქრიც ეს ყოფილა და არა მხოლოდ ეს.

ოლიმპიზმი ძველთაგანვე არის სპორტის, ხელოვნებისა და კულტურის ერთიანობის ფილოსოფია. ბოლო წლებში ხუთი რგოლით გადაჭდობილ ამ ერთობას, შეიძლება ითქვას, დაემატა ეკოლოგიაც. ასე რომ, თანამედროვე ოლიმპიზმი არის სპორტის, ხელოვნების, კულტურისა და ეკოლოგიის ერთიანობის ფილოსოფია.

მუზეუმის არქიტექტორებს ესეც გაუთვალისწინებიათ, რაც გამოიხატება არა მხოლოდ ზეთისხილისა და სხვა ნარგავების გაშენებაში, არამედ არსებული ხეების დაცვაში. არქიტექტორები ამ მხრივ ისე შორს წავიდნენ, რომ მოჭრას გადაარჩინეს გიგანტური, საუკუნოვანი მუხა, რომელიც ახლა საოცრად შერწყმია მუზეუმსა და მის ტერიტორიას, რადგან ამ ყველაფერთან მისი თანაარსებობა იმთავითვე განუჭვრეტიათ და ქარგაც მისი გათვალისწინებით გამოუჭრიათ.

ოლიმპიურ მუზეუმში სხვა რომ არ იყოს სანახავი, მისი დათვალიერება მხოლოდ გარედანაც ღირს თავისი გარემომცველი „ელინური" სამყაროს „ექსპონატებიანად".

ამგვარი მუზეუმის დაარსების იდეა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების მებალავრე პიერ დე კუბერტენს იმთავითვე დაებადა. პირველად ამის შესახებ მან ოფიციალურად სწორედ აქ, ლოზანაში განაცხადა სოკ-ის სხდომაზე, 1915 წელს, მაგრამ თითქმის მთელი საუკუნე ისე მიიწურა, რომ იდეის განხორციელებას საშველი არ დაადგა. და აი, 1980 წელს სოკ-ს მოევლინა თუ არა მეშვიდე პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი, ამ ესპანელმა მარკიზმა კუბერტენის სურვილების გათვალისწინებით ერთ-ერთ უპირველეს მიზნად მუზეუმის გახსნა დაისახა.

მშენებლებმა პირველი ბარი 1988 წლის 9 დეკემბერს დაჰკრეს, მუზეუმის საზეიმო გახსნის ცერემონიალი კი 1993 წლის 27 მაისს გაიმართა. იმ დღეს მუზეუმის 23 000 კვადრატული მეტრის ტერიტორია, როგორც იტყვიან, სტუმართ ვერ იტევდა. თავად 70 მეტრი სიგრძისა და ხუთსართულიანი, 11000 კვადრატული მეტრი ფართობის მუზეუმი 12 500 ნათურით განათებული შეეგება სტუმრებს, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მუზეუმის შესასვლელში, მათ დახვდათ თეთრი მარმარილოს კედელზე სამარადჟამოდ ამოტვიფრული სპონსორთა ვინაობა.

„დონორთა კედელზე" ვკითხულობთ 60 ხელისშემწყობის ვინაობას, რომლებსაც მუზეუმის მშენებლობისთვის მთელი ხარჯების 84 პროცენტი გაუღიათ, 16 პროცენტი კი სოკ-ის წილად მოსულა.

მას შემდეგ მუზეუმს წლევანდლამდე მილიონ 301,879 კაცი ეწვია. დამთვალიერებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 1999 წელს თუ იქ 188,611 კაცი იყო, 2000 წელს მათმა რაოდენობამ 202,800 მიაღწია. მუზეუმის დამთვალიერებელთა შორის ყველაზე მეტი, ცხადია, შვეიცარიელები არიან (59,09 პროცენტი).

1995 წელს ოლიმპიური მუზეუმი ევროსაბჭომ მთელს კონტინენტზე საუკეთესოდ აღიარა და სათანადოდ დააჯილდოვა კიდეც.

საინჟინრო ხელოვნების ნიმუშად მიჩნეული ეს უმშვენიერესი მუზეუმი ამგვარი დაწესებულებისთვის განკუთვნილი ტექნიკის უმაღლესი მიღწევებითაა აღჭურვილი. საგამოფენო დარბაზების გარდა აქ არის 180-ადგილიანი ფართობი, სადაც ეწყობა სემინარები, სიმპოზიუმები, კონფერენციები, არის რვა ვიდეოტერმინალი, სადაც სავარძელში მოხერხებულად მოკალათებულს მშვიდად შეგიძლიათ ნახოთ დოკუმენტური ფილმები ოლიმპიურ თამაშებზე. თითოეულ ტერმინალს თავისივე ტუალეტი აქვს, რათა კაცმა მაქსიმალური კომფორტი იგრძნოს.

აქვე არის ბიბლიოთეკა თავისი სამკითხველო დარბაზით, ვიდეოთეკებით, ფოტოარქივით...

მუზეუმშივე შეგიძლიათ შეიძინოთ მრავალი ბრწყინვალე ალბომი, პლაკატი, ნაირგვარი სუვენირი, რისთვისაც სპეციალური მაღაზიაა გახსნილი. მუზეუმშივეა ორი კაფეტერია, ერთი — თავად შენობაში, 80-ადგილიანი, მეორე კი 150-ადგილიანი ვერანდაზეა, რომლიდანაც სავოის ალპების უმშვენიერესი პეიზაჟი მოსჩანს.

და როცა ამ მუზეუმის საინჟინრო თუ არქიტექტრულ ღირსებებზე ვსაუბრობთ, როგორ იქნება, რომ მის ავტორებზე ორიოდე სიტყვა მაინც არ ვთქვათ. ესენი არიან მექსიკელი არქიტექტორი პედრო რამირეს ვასკესი და მისი ლოზანელი კოლეგა ჟან პიერ კაპენი, რომლებიც სოკ-ის ახალი შტაბ-ბინის პროექტის ავტორებიც გახლავან.

პედრო რამირეს ვასკესი 1971 წლიდან სოკ-ის წევრი და 1968 წელს მეხიკოში გამართული ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელია. იგი წლების განმავლობაში აქტიურობდა, რათა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჰქონოდა მუზეუმი. მის მონდომებას სოკ-ის პრეზიდენტად სამარანჩის მოსვლის შემდეგ შეესხა ფრთები და მანაც ამ საქმეში მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება ჩააქსოვა, გამოცდილება კი მას დიდი ჰქონდა არა მხოლოდ ზოგადად არქიტექტურაში, არამედ სწორედ მუზეუმების დაპროექტებაში. მისი პროექტებით აშენდა მეხიკოს ანთროპოლოგიური მუზეუმი და ასვანის ნუბიენის მუზეუმი, რამაც მას დიდად გაუთქვა სახელი.

ჟან პიერ კაპენი არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის მეთაური იყო. მისი პროექტითაა აგებული მრავალი საზოგადოებრივი შენობა. მათ შორის: სკოლები, სპორტული ბაზები, საკულტო ნაგებობები, ჰოსპიტალი, საერთო საცხოვრებელი...

პედრო რამირეს ვასკესსა და ჟან პიერ კაპენს ერთმანეთი სოკ-ის შტაბ-ბინისა და ოლიმპიური მუზეუმის დაპროექტებისას არ გაუცვნიათ. მათ ნაცნობობა და თანამშრომლობა აკავშირებდათ ჯერ კიდევ 1962 წლიდან, როცა ერთობლივად სკოლის შენობა დააპროექტეს. ასე რომ, ისინი უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს და მათი ტანდემის ავკარგიანობა სოკ-ისა და მისი მუზეუმის დიდებულმა პროექტებმა თვალნათლივ გვიჩვენა.

მაგრამ მუზეუმის ღირსება, ცხადია, მხოლოდ მისი ბრწყინვალე პროექტით, აღჭურვითა და გარემოსთან ბუნებრივი შერწყმით არ განისაზღვრება. უმთავრესი მაინც მისი ექსპონატებია. აქ არის მუდმივი გამოფენაც და ცვალებადიც, სადაც ერთმანეთს ენაცვლება კერძო კოლექციონერთა თუ ევროპის უდიდეს, პრესტიჟულ მუზეუმთა თუ გალერეათა ექსპონატები. მათ შორის: რომის, პრაღის, ბუდაპეშტის, ვენის, სანკტ პეტერბურგის...

უცნობილეს შემოქმედთა ნახელავიდან აქ შეგიძლიათ დატკბეთ როდენის, ბურდელის, პიკასოს, ბოტეროს, ტაპისის ნამუშევრებით. არის ჩვენი თანამედროვეთა შემოქმედებაც და ანტიკური ხელოვნების ბრწყინვალე საგანძურიც, რომლებიც ექსპონირებულია ძველბერძნულ განყოფილებაში. ესენია ასობით ქანდაკება, ვაზა, ამფორა და სხვა ხელოვნების შედევრები.

მუზეუმშია ღიმილისმომგვრელი, არქაული და თანამედროვე, განსაცვიფრებელი სპორტული ინვენტარი; აქვე შეგიძლიათ ნახოთ ყველა ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი, რომლებითაც ოლიმპიური ცეცხლი აუგიზგიზებიათ.

მუზეუმის ბიბლიოთეკაში, რომლის კარიც ღიაა ყველასთვის, მრავალი უნიკალური წიგნია, რომელთა რაოდენობა 17 000 აჭარბებს. აქვეა 250-მდე დასახელების პერიოდული ოლიმპიური გამოცემა.

ფოტოარქივი ინახავს 300 000 სურათს, ნეგატივს, სლაიდს, რომლებზეც ასახულია უკლებლივ ყველა ოლიმპიური თამაში, მათი გმირები... იქვეა ფოტოლაბორატორია, რომელიც მზადაა დაგიბეჭდოთ ნებისმიერი ფოტო ამ არქივიდან.

აუდიო-ვიზუალურ განყოფილებაში დაცულია, საერთო ჯამში 15 000-საათიანი დოკუმენტური ფილმები, რომელთაგან სამის ნახვა ამორჩევით ბილეთის საფასურში შედის. იქნებ ბილეთის ფასში ყველა ფილმის ნახვაც გაეთვალისწინებინათ, მაგრამ კაცს დღედაღამ თვალმოუშორებლად მათი ცქერისთვის ორი წელიწადი დასჭირდება.

საინტერესოა მარკებისა და ნუმიზმატიკის განყოფილებაც. იქ დაცული ანტიკური და თანამედროვე ოლიმპიური მონეტები ბევრ საინტერესოს მოგვითხრობენ ამ თამაშების ისტორიაზეც.

ამ კოლექციის უნიკალურობაზე ისიც მეტყველებს, რომ აქ მთელი მსოფლიოს ნუმიზმატებისთვის ყოველწლიურად ეწყობა სამ-ოთხდღიანი თავყრილობები.

ასევე უნიკალურია ოლიმპიური მარკების კოლექცია, რომელიც 1 200 მარკას ითვლის. მუზეუმის ამ სიამაყეს სათავე დაუდო სოკ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომელმაც მუზეუმს საკუთარი კოლექცია გადასცა. თავის მხრივ, სამარანჩი 1945 წლიდან აგროვებდა ამ კოლექციას, რომელიც მამამ აჩუქა, მათ შორის 1896 წლის ათენის პირველი ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი მარკების სრული კომპლექტი...

და როცა ყოველივე ამას ათვალიერებ, მუზეუმიდან გამოდიხარ და გასცქერი მოლივლივე ტბას, ტბის გაღმა აღმართულ მთებს, ცხოვრება უფრო მშვენიერი გეჩვენება.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ლოზანა-თბილისი**



ბურდელის „მშვილდოსანი"



მუზეუმის ანტიკური განყოფილება



ასეთი ხალხმრავლობა იყო მუზეუმის გახსნაზე



პაუ გასოლი მემფისელია

# გასოლის ამბავი კონტრაქტით გასრულდა

**საზოგადოდ** ამერიკის შეერთებულ შტატებს მსგავსი ამბების მოსასმენად არა სცხელა, თუმცა ყოფილმა „ვანკუვერმა“ აწ კი „მემფის გრიზლიზმა“ საზოგადოებას აუწყა, რომ წლევანდელი დრაფტის მესამე ნომერი პაუ გასოლი გუნდის სრულუფლებიანი წევრია. გუშინწინ კლუბმა 211-სანტიმეტრიან ესპანელ თავდამსხმელს სამწლიანი და 9,6-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, „დათვებს“ აქვთ უფლება, გასოლი მეოთხე წლითაც დაიტოვონ (ცხადია, თუ ის მანამდე გაამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს) და ამ შემთხვევაში მემფისელებს 9,6 მილიონზე 4,3 მილიონის დამატება მოუწევთ.

იოლად მოგვარდა საქმე გასოლის ყოფილ კლუბ ესპანურ „ბარსელონასთან“. ესპანელი, უფრო ზუსტად კი ბასკი კალათბურთელი კატალონიურ კლუბს კიდევ ორი წლით ეკუთვნოდა, თუმცა გასოლს პრობლემა არ შეექმნება კონტრაქტის გამოსყიდვისას. ნბა-ს წესების თანახმად, „მემფისს“ უფლება აქვს, კალათბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვაში გაიღოს არა უმეტეს 350 ათასი დოლარისა. მართალია, „ბარსელონას“ ბევრად მეტი ეკუთვნის, მაგრამ გასოლი თანახმაა, საჭირო თანხა „მემფისთან“ ახლადდადებული ხელშეკრულებიდან კუთვნილი მილიონებიდან დაფაროს. მას ნბა-ში თამაში სწყურია და ფულს არ დაგიდევთ. აბა, სად ევროპა (თუნდაც იქაური გრანდი „ბარსელონა“) და სად ნბა-ო ამბობს გასოლი და მომავალი სეზონისთვის კუნთებს ივარჯიშებს.

„ახლა, როდესაც კონტრაქტი გავაფორმეთ და ფორმალობებს მოვრჩით, შეგვიძლია, მთელი ყურადღება მოედანს მივაპყროთ და პაუ სეზონისთვის მოვამზადოთ. მას კარგი შანსი აქვს, ნბა-ში სოლიდური და ხანგრძლივი კარიერა ჰქონდეს და ჩვენ ყველანი დავეხმარებით პირველი ნაბიჯების გადადგმაში“ — ამბობს „გრიზლიზის“ გენერალური მენეჯერი ბილი ნაითი.

სანამ ნბა-ში თავის პირველ კონტრაქტს გააფორმებდა, გასოლმა დაამტკიცა, რომ კალათბურთის თამაში შეუძლია. რამდენიმე დღის წინ თურქეთში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში გასოლმა რიგიანად იბურთავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანელებთან მესამე ადგილისთვის შეხვედრა, სადაც ბასკმა აჯობა მეტოქის ლიდერს, ნბა-ს კაშკაშა ვარსკვლავ დირკ ნოვიცკის, მის გუნდს 31 ქულა ჩაუგდო და ესპანეთს 99:90 მოაგებინა.

გასოლი ამჟამად ესპანეთშია და მემფისში ჩასვლა ცოტა გაუჭიანურდა. მიზეზი ყველასთვის კარგადაა ცნობილი — შეერთებულ შტატებში შექმნილი ვითარება, თუმცა გასოლი იმედოვნებს, რომ ამ კვირაში მოახერხებს ოკეანის გადაფრენას და 2 ოქტომბერს შეუერთდება „გრიზლიზის“ საწვრთნელ ბანაკს.

ოთხშაბათსვე კიდევ ერთმა ახალბედამ იშოვა მილიონები. დრაფტის მეშვიდე ნომერმა, 206-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელმა ედი გრიფინმა „ჰიუსტონ როკიტსს“ სამწლიან კონტრაქტზე მოუწერა ხელი, ამის სანაცვლოდ კი ხუთი მილიონი და კიდევ 314 ათასი დოლარი ჩაიჩხრიალა. ორივე მხარე კმაყოფილია. 19 წლის გრიფინს ხომ უახლოეს წლებში მილიონები და ნბა-ს ვარსკვლავის სახელი ელის და უხასიათოდ აბა, რატომ უნდა იყოს. ჰიუსტონს კი, რომელმაც ორი კარგი მეფარე — ჰაკიმ ოლაჯუონი (სხვაგან გადავიდა) და მორის ტეილორი (ტრავმის გამო მომავალი სეზონის დასაწყისს გამოტოვებს) დაკარგა, მაღალი ბიჭები ჰაერივით სჭირდება. „რაკეტები“ თავიანთი შენაძენის შემყურენი ფიქრობენ, ვინ იცის, იქნებ მომავალი სეზონის საუკეთესო ახალბედა შეგვემატაო.

თავად გრიფინი ჯერჯერობით ამბობს, კარგი იქნება, თუ სეზონის გამორჩეულ ახალბედებში მოვხვდებიო, რაც მისთვის, დიდი პრობლემა არ უნდა იყოს. უხვად მომადლებული ნიჭით აკი ყველა გააგიჟა ჯერ სკოლაში, მერე კი სეტონ ჰოლის უნივერსიტეტის გუნდში. უმაღლეს სასწავლებელში მან მხოლოდ ერთი წელი დაჰყო და რაკი თავს შეატყო, ნბა-ში თამაშისთვის შემზადება აღარ მჭირდებაო, სწავლა გვერდზე გადადო და დრაფტში ამოყო თავი.

**ირაკლი ფირუზაშვილი**



# მუხის ფოთოლცვენა

**ტესტ-მატჩი. კარდიფი**

**უელსი 81:9 რუმინეთი**

**უელსი:** მორგანი, გარეთ ტომასი, ბეიტმენი, ჯონსი, ჯეიმსი, ჰენსონი (რ. უილიამსი), ჰაული (პილი); ი. ტომასი, მაკბრაიდი (ბ. უილიამსი), იანგი, ვაიატი (კ. ქვინელი), მური, ჩერვისი, გევინ ტომასი, ლუისი (სინკინსონი)

**11ლ:** ჯეიმსი (3), ჩერვისი (3), ბ. უილიამსი (2), ვაიატი, ბეიტმენი, კ. ქვინელი; **10გ:** ჯონსი; **2ს:** ჯონსი

**რუმინეთი:** ბრეზოიანუ, ტეოდორესკუ, ოპრია, ლუპუ, გიოკი, ტოფანი (ჩოლაკუ), სირბუ, დიმა (სოარე), დემჩი, სოკაჩე (ტოდერაშკი), დრაგომირი, ნედელკუ, ბეჯანი (დუმიტრესკუ), იაკობი, პეტრაჩე **3ს:** ტოფანი

ევროპაში საშემოდგომო ტესტების სეზონი გაიხსნა. უელსმა ევროპის ერთა თასზე საქართველოს მთავარ მეტოქე რუმინეთს უმასპინძლა და მისგან ქვა ქვაზეც არ დატოვა. „მუხის ფოთლებმა“ მხოლოდ პირველი ტაიმის ნახევარი გაუძლეს მოწინააღმდეგეს, მერე კი უბრალო სტატისტების როლითღა დაკმაყოფილდნენ. საბოლოოდ უელსელებმა 81:9 მოიგეს, რაც სარეკორდო სხვაობაა ამ ნაკრებების მატჩებში.

მასპინძლები კარპატელებს ერთობ განახლებული შემადგენლობით დაუხვდნენ. მათმა დამრიგებელმა გრემ ჰენრიმ გუნდის გაახალგაზრდავებაზე აქცენტის გაკეთება მომავალი მსოფლიოს თასისთვის ძლიერი თხუთმეტეულის შექმნის სურვილით ახსნა. ჰენრის ნაკრებში რამდენიმე წამყვანი მორაგბე არ მიუწვევია. მსოფლიოში ყველაზე შედეგიანი ნილ ჯენკინსის არყოფნა თუ მაინც მის მუხლის ტკივილს დაბრალდა, სამაგიეროდ, სკოტ ქვინელისა და მარკ ტეილორის ტრავმებზე არავის ულაპარაკია.

უელსელთა რიგებში გამოჩდა გევინ ჰენსონი, 19 წლის სამმეოთხედელი, რომელმაც თავი ბრიტანელთა იაპონურ ტურნეში გამოიჩინა. სამწუხაროდ, ჰენსონმა ტრავმა მიიღო და პირველივე ტაიმში შესაცვლელი გახდა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ბათელი გევინ ტომასისა და „ებ ვეილის“ იესტინ ტომასის ძირითადში დაყენებაც.

ისე, არც რუმინელებს ჰყოლიათ უძლიერესი შემადგენლობა, რაც ახლახან გაჩაღებული საფრანგეთის ჩემპიონატით უნდა აიხსნას. რუმინელებსაც, ქართველების არ იყოს, ლეგიონერების უმრავლესობა სწორედ „მამლების“ სამშობლოში ჰყავთ „გადასხმული“. იქიდან კი ლა მანში ოდენ გაბრიელ ბრეზოიანუმ (ბეგლ-ბორდო) და დრაგოშ დიმამ (კასტრი) გადალახეს, რომელთაც იტალიურ „როვიგოში“ მოთამაშე მარსელ სოკაჩე შეუერთდათ.

„ანგარიშში ამხელა სხვაობა იმითაა განპირობებული, რომ მატჩის უკანასკნელ წუთამდე მთელი ძალითა და მონდომებით ვირჯებოდით. წინ გაცილებით რთული შეხვედრები გველის და გვინდოდა, ჩვენი შეტევის შესაძლებლობები შეგვემოწმებინა“ — განაცხადა მასპინძელთა ახალზელანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა ჰენრიმ.

თავიდან, როგორც გითხარით, სტუმრები მაგრად დადგნენ და ტოფანის საჯარიმოებით 22-ე წუთზე 6:3 დაწინაურდნენ. ამ „სითავხედეს“ მყის „ბრიტანელი ლომის“ ჯეიმსის ლელო მოჰყვა, 27-ე წუთზე კი ტოფანმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 10:9.

„ყველაზე მეტად საწყისი 20-25 წუთის განმავლობაში გაგვიჭირდა. მერე თანდათანობით თავდაჯერება დავიბრუნეთ და რამდენიმე ძალიან ლამაზი ლელოს გატანაც შევძელით“ — აღნიშნა ჰენრიმ.

ჯამში კი კარდიფის „მილენიუმზე“ თავმოყრილმა 10 ათასმა მაყურებელმა თავისიანების 11 ლელო იხილა. ტაიმი უელსმა 27:9 მოიგო, ბოლო 3 ლელო კი 77-ე, 79-ე და მე-80 წუთებზე გაიტანეს შესაბამისად კრეგი ქვინელმა, ჯეიმსმა და ბარი უილიამსმა.

**გაგი გურული**



გარეთ ტომასი რუმინელთა დაცვას მიარღვევს



# ტრაგედიის ექო ვაიომინგში

## რვა კროსმენი ავარიაში დაიღუპა

**სწორედ** ნიუ იორკის ტყუპი კოშკის აფეთქება იქცა ვაიომინგის შტატში მომხდარი ტრაგედიის ირიბ მიზეზად. ვაიომინგის უნივერსიტეტის კროსის ნაკრების რვა წევრი ტერაქტის მიზეზით რამდენიმედღიან შვებულებაში გაუშვეს და მათაც კვირას კოლორადოს შტატში ფორტ კოლინზს მიაშურეს სპორტული ფეხსაცმლის საყიდლად და ღამის კლუბში შესავლელად. უკან დაბრუნებისას კროსმენთა მანქანა მშობლიურ შტატში ახალი შესული იყო, როცა მისი მოძრაობის მხარეს „პიკაპი“ გადავიდა და მოხდა საშინელი ავარია. რვავე სპორტსმენი, ასაკით 19-დან 21 წლამდე, ადგილზე დაიღუპა, ხოლო „პიკაპის“ მძღოლი, ხელობით მოჭიდავე, აივენსონის ჰოსპიტალში მიიყვანეს. იტყობინებიან, რომ ცუდ დღეშია, მაგრამ გადარჩება.

ვაი, ასეთ გადარჩენას! სააგენტო ასოშეიტედ პრესის“ ინფორმაციით, კლინტონ ჰესკინსი ავარიის მთავარი, ან იქნებ ერთადერთი დამნაშავე იყოს. ის მართავდა „პიკაპს“ და თურმე მთვრალი ყოფილა, ოღონდ ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ არაოფიციალურ დონეზე ითქვა.

„მსხვერპლთა სისხლის ტესტები შედეგს ორ კვირაში გამოიღებს — განაცხადა ტრანსპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა ლაიზა მერფიმ — ოფიციალური განცხადება მხოლოდ ამის მერე გაკეთდება“.

ჯერჯერობით მხოლოდ ცნობილია, რომ ჰასკინსსა და დაღუპულთა მანქანაში წინა ორ ადგილზე მჯდომთ უსაფრთხოების ქამრები შეკრული ჰქონდათ. ამის მიუხედავად, დაღუპულები მანქანიდან გადმოვარდნილები ნახეს. ეტყობა, დარტყმის ძალა იყო საშინელი და ქამარიც გაწყვიტა.

კოკისპირულ წვიმაში 700 კაცი მოგროვდა დაღუპულების ხსოვნის პატივსაცემად, ერთადერთ გადარჩენილს კი ასევე მწუხარე პერსპექტივა ელის — ციხე 20 წლით, ის კი 21 წლისაა.

**დავით გულუა**



ამ მანქანაში დაღუპული კროსმენები ისხდნენ


გეპატიჟებით საბილიარდოში!



უმაღლესი ხარისხის მაგიდები და მომსახურება

მუხიანის I მიკრორაიონი, კორპუსი 3ა ტელ.: 630660



მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ ჯგუფებში

მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები

მისამართი: ზ. ფალიაშვილის №42 (57-ე საშუალო სკოლა) ☎ 29-11-78, 23-53-17



REUTERS სიდნეიდან

# მზად არიან

სიდნეის ოპერაში გამოუფენიათ დევისის თასი, რომელთანაც რიგრიგობით გადაუღიათ სურათები ავსტრალიელთა და შვედთა საჩოგბურთო ნაკრებებს. დღეს ეს გუნდები დევისის თასის ნახევარფინალის შეხვედრებს დაიწყებენ. გუნდების შემადგენლობა ვარსკვლავურია. შვედები: იონას ბორკმანი, კარლ ალექს-ჰაგესკოგი (კაპიტანი), ტომას ენკვისტი, მაგნუს ლარსონი და ტომას იოჰანსონი. ავსტრალიელები: პატრიკ რაფტერი, ლეიტონ ჰიუიტი, ჯონ ფიცჯერალდი (კაპიტანი), ტოდ ვუდბრიჯი და ვეინ არტურსი.



# პანტანი გვიღიმის

ესპანური ველოტური, იგივე ვუელტა გრძელდება. მეთერთმეტე, 154-კილომეტრიანი ეტაპი ესპანელმავე ხოსე-მარია ხიმენესმა მოიგო. ტურის ლიდერის ყვითელი მაისურა კი კვლავ დაიბრუნა ასევე ესპანელმა ოსკარ სევილიამ. „მერკატონე უნოს" განთქმული იტალიელი ლიდერი მარკო პანტანი ვუელტას უკვე გამოეთხოვა, მაგრამ მაინც კარგ ხასიათზეა და გუნდის მანქანაშიც მძღოლის გვერდით გამოჭიმულა.




REUTERS

# პირველი თამაში

„ნიუ იორკ რეინჯერსის" ახალი დიდი შენაძენი, ერიკ ლინდროსი პირველად გამოვიდა ყინულზე ამ გუნდის სამოსით. ამ ფოტოზე „რეინჯერსისა" და „ნიუ ჯერსი დევილზის" სეზონისწინა მატჩის ერთი ეპიზოდია აღბეჭდილი: ლინდროსს ნიუჯერსელი კენ დანეიკო ავიწროვებს. ეს მატჩი პირველი სპორტული ღონისძიებაა, აფეთქების შემდეგ რომ გაიმართა ნიუ იორკში.




REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS არლინგტონიდან

# ვერა, ვერა...

ასე ხდება ხოლმე: გაედევნები, გაედევნები ბურთს, უნდა დაიჭირო, მაგრამ კედელს შეასკდები, ბურთი კი ტრიბუნისკენ გაფრინდება და გულშემატკივრის არჩივი ხდება. ოკლენდელ ჯონი დეიმონსაც ასე დაემართა, აჰ, რამდენი სდია ტეხასელი ალექს როდრიგესის დარტყმულს... ეს ამბავი არლინგტონის „ბოლ პარკზე" მოხდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge